სოლომონ ასუროლი

ასორული

საიდუმლოს ფესვები სინათლის ძიებაში

F 20.827
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ ასურელი

მასონური საიდუმლოს ფესვები – სინათლის ძიებაში

თბილისი - 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

© 2012 სოლომონ ასურელი; საქართველო

პირველი გამოცემა

© 2012 **Solomon Asureli**; Tbilisi, Georgia

Frist Edition

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის გამრავლება ან სხვა ნებისმიერი ფორმით გავრცელება-გადაცემა, ნაწილობრივ თუ მთლიანად, დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

All rights reserved. No part of this book may be reproduced or transmitted in any form or by any means without written permission from the author.

© NPLP Ph.C. **ACACIA**

ISBN: 978-9941-0-4369-7

ტირაჟი: 1500 ეგზ.

K65.254

სოლომონ ასურელის სხვა გამოცემები:

„მასონები - საიდუმლო საძმო, თუ საძმოს საიდუმლოებებით?!“, თბილისი, 2012

ავტორთან დაკავშირება: **masons_geo@europe.com**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძღვნება ყველა ქართველ თავისუფალ, ძველ და აღიარებულ ქვისმთლელს. ეძღვნება ჩემს ძმებს, ეძღვნება **„აკაციას“** და განმანათლებლობას!

ეძღვნება ქართველი ემიგრანტების მიერ საფრანგეთში დაფუძნებულ პატივცემულ ლოჟებს: **„ოქროს საწმისა“** და **„პრომეთეს“.** ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, ვინც სიბნელეში მოგზაურობს და ეძებს სინათლეს.

ეძღვნება ჩემს ოჯახს.

რას უნდა ველოდოთ ამ წიგნისგან?

თქვენს წინაშეა ქართველი მასონის, *სოლომონ ასურელის* ნაშრომი „მასონური საიდუმლოს ფესვები - სინათლის ძიებაში“, რომელშიც მოკლედ მოგითხრობთ სხვადასხვა იურისდიქციაში მასონური ორდენის განვითარების ისტორიაზე, შოტლანდიურ და იორკულ წესდებებზე, ტაძრის რაინდებზე - ტაძრელებზე, ანტი-მასონური ისტერიის საფუძვლებზე და სხვა.

მსურს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა წინამდებარე წიგნის გამოცემასა და რეცენზიაში. განსაკუთრებული მადლობა გოგა. დ.-ს – წიგნის გარეკანის დიზაინისათვის (Movie Force), აგრეთვე ძმებს ალექსანდრე.მ. III-ს, პლამენ ბ-ს და ალექსანდრე ვ.-ს. მადლობა M.W.G.M. ნიკოლაუსს! მადლობა ჩემს მეუღლეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
ნაწილი პირველი	6
თავი I. ევროპის დიდი ლოჟები	7
საფრანგეთი	7
გერმანული ორდენი	12
მასონობა იტალიაში	15
თავი II. მასონიური ორდენი აშშ-ში	19
თავი III ინგლისის პირველი დიდი ლოჟები	21
თავი IV შოტლანდიური წესდება	23
თავი V იორკული წესდება	29
თავი VI ვარდისა და ჯვრის ორდენი	34
თავი VII. დიალოგი პროფანთან ანუ კითხვა - პასუხი	44
ნაწილი მეორე	48
თავი I. ლეგენდა ბაფომეტზე	50
თავი II. ილუმინატების საზოგადოება	54
თავი III. გლობალიზაცია	56
თავი IV. მასონები და რელიგია	59
ეპილოგი	73
დანართი 1 მასონური პარტნიორი ორგანიზაციები	77
დანართი 2 მსოფლიოში არსებული დიდი ლოჟები,	79
დანართი 3. ლოჟების გახსნისა და განვითარების ქრონოლოგია	83
დანართი 4. გამოჩენილი მასონები	85
საკითხავი ლიტერატურა	88

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

„Ad Universi Terrarum Orbis Summi Architecti Gloriam“

საქართველოში, მასონობა შემოვიდა 19-ე საუკუნეში, თუმცა ორდენი აქტიურად ვერ განვითარდა. მასონური ლოჟების წევრების უმეტესობა ინიცირების შემდგომ პეტერბურგში ან რუსეთის სხვა გუბერნიებში მიემგზავრებოდა და იქ აგრძელებდა, თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, მასონურ განვითარებას. საქართველოში ლოჟები არსებობდა ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში, ხოლო ქვეყნის ოკუპაციის შემდგომ, პარიზში, ემიგრაციაში, ორი ლოჟა არსებობდა- **"ოქროს საწმისი"** და **"პრომეთე"**. ჩვენ მომავალში უფრო აქტიურად და დეტალურად ვგეგმავთ გავეცნოთ იმ მასალებს, რომლებიც მეტ სინათლეს მოჰფენს საქართველოში მასონური ორდენის საქმიანობას 19-ე - 20-ე საუკუნეებში. სამწუხაროდ, არქივები ფაქტობრივად განადგურებულია. ჩვენი ინფორმაციით ბევრი გამოჩენილი ქართველი იყო მასონი, მათზე მომავალში ცალკე გამოშვება მომზადდება.

დღეს, საქართველოში, ოფიციალური იურისდიქცია და რეგულარული დიდი ლოჟა არ არსებობს. მოარული ჭორების მიუხედავად, მასონურ საძმოს არ წარმოადგენს ყველა ის ცნობილი ადამიანი, ვისზეც ეს ჭორები დადის. ქართველი მასონები საზღვარგარეთ არიან ინიცირებულნი. დარწმუნებული ვარ, რომ მოვა დრო, როდესაც საქართველოში სულ მცირე 3-4 ლურჯი ლოჟა დაინსტალირდება, რის საფუძველზეც საქართველოს დიდი ლოჟა შეიქმნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანამდე კი, ჩვენი მიზანია საზოგადოებას ავუხსნათ და გავაგებინოთ, თუ რა არის მასონური ორდენი, მასონი, მისი იდეალები და მიზნები. რა თქმა უნდა, იმ დაშვებული ფორმით, რომლითაც შეიძლება ჩვენს საქმიანობაზე პროფანებთან საუბარი.

ჩვენი ვინაობა დაფარულია, თუ რომელიმე ძმამ თავად არ გადაწყვიტა საკუთარი ვინაობის გამხელა. შეკითხვაზე, თუ როდემდე? - პასუხი იქნება, მანამ სანამ ჩვენი საზოგადოება არ იქნება ჩამოყალიბებული იმისათვის, რომ ცივილურად მიიღოს ყველა ის ადამიანი, ვისაც მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე და განვითარება სურს საკუთარი თავის, საზოგადოების და სამშობლოს!

ნაწილი პირველი

„მასონური საიდუმლოს ფესვები - გზა სინათლისკენ" პირველ ნაწილში წარმოგიდგენთ რამდენიმე თავს, რომელიც ეძღვნება ევროპის დიდ ლოჟებს, სინათლის შეტანას და მასონური ორდენის განვითარებას აშშ-ში, ცალკე თავი დაეთმობა ინგლისის გაერთიანებულ დიდ ლოჟას. ამასთანავე, წიგნის პირველ ნაწილში, თქვენ მოგეცემათ საშუალება, მეტი გაიგოთ მასონური ორდენის **შოტლანდიური** და **იორკული** წესების შესახებ, მათში შემავალ საფეხურებზე და ფილოსოფიაზე, ცალკე თავი დაეთმობა **ოკულტურ** მიმართულებებს - **ვარდისა და ჯვრის** (როზენკროიცერულ) ორდენს და ამასთანავე, ჩემი პირველი წიგნის „ჩემი გზა ჩემი არჩევანია"-ს მსგავსად, ცალკე თავი დაეთმობა „კითხვა -

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხს“ - დიალოგს პროფანთან. ყოველ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია არის ის მინიმალური ცოდნა, რომელიც ასე აუცილებელია რიგითი მკითხველისთვის. რა თქმა უნდა, თითოეულ საკითხს, ინტერესის არსებობის შემთხვევაში, უფრო ხანგრძლივი და ღრმა კვლევაშესწავლა უნდა დაუთმოთ. ერთ გამოცემაში სრულყოფილ პასუხს ყველა თქვენს დასმულ კითხვაზე ვერ წარმოგიდგენთ.

თავი I. ევროპის დიდი ლოჟები

საფრანგეთი

საფრანგეთში, პირველი ლოჟები ინგლისელმა სამხედროებმა ქალაქ **ბორდოში**, ხოლო ირლანდიელმა სამხედროებმა **სენ-ჟერმენ-დე-პრეში** დააფუძნეს. **1735** წელს, ინგლისის დიდი ოსტატი და რიჩმონდის ჰერცოგი ჩავიდა პარიზში, ორდენის ახალი წევრების ინიცირების მიზნით, მათ შორის სახელმწიფო მდივნის **გრაფ სენ ფლორენტინის**, რომელსაც რეკომენდაციას **მონტესკიე** უწევდა.

ამ პერიოდში, ლუდოვიკო XV ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, საზოგადოებაში კი სოციალური, მორალური და დემოკრატიული ფასეულობები არც თუ ისე მტკიცე და გავლენიან პრინციპებს წარმოადგენდა. ლოჟები და მასში შემავალი არისტოკრატიული და მეშჩანური ფენები არსებული მდგომარეობისა და მმართველობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. 1737 წელს, რომის **პაპის კლემენსას** ბულაზე დაყრდნობით, მეფის პრემიერ-მინისტრმა, **კარდინალმა ფლერიმ** გამოსცა **დეკრეტი,** რომლითაც **კრძალავდა ლოჟების არსებობასა და**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნქციონირებას. ყველა მასონს მკაცრი დასჯა ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, მასონობა პროტესტის ახალ ფორმად იქცა, იმ გამეფებული, აუტანელი მდგომარეობის წინააღმდეგ, რაც საზოგადოებაში, სახელმწიფოსა და ეკლესიაში სუფევდა. ამავე წელს, ცნობილმა შოტლანდიელმა მასონმა, არისტოკრატმა **ანდრეას მაიკლ რამზეიმ** წარმოსთქვა ცნობილი სიტყვა, იგი მსოფლიოს ხედავდა, როგორც **„დიდ რესპუბლიკას, რომელშიც ყოველი ერი, წარმოადგენს ერთ დიდ ოჯახს და ყოველი მოქალაქე მისი შვილია“**.

საფრანგეთში, კარგად ახსოვდათ, ერთ დროს ძლიერი და გავლენიანი ტაძრელთა ორდენი, **ჟაკ დე მოლეს** ხელმძღვანელობით. 400 წლის შედმგომ, ტაძრელთა ორდენი და რაინდული საზოგადოებები ინტენსიურად იხსნებოდნენ და ვითარდებოდნენ. ამავე პერიოდში, ჩნდება მასონური ლოჟების მსგავსი მრავალი სტრუქტურა, საზოგადოება და ერთობა, მაგალითად **„რჩეულნი ლეონიდან“**, **„არასის კაპიტული“**, **„კლერმონტის კაპიტული“**, **„ნოახიტი“**, **„ფილალეტი“**, **მარტინისტთა ორდენი** და სხვადასხვა **ოკულტური** და **მისტიკური** ორდენი. ამ მრავალფეროვნებიდან, საფრანგეთში **1756** წლისთვის, მხოლოდ ორი მასონური სტრუქტურა შემორჩა - **საფრანგეთის დიდი ლოჟა და საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთი.**

მასონურ ლოჟებში, მთლიანად იმარჯვებს დემოკრატიული ტენდენციები: ლოჟის ოფიცრები ირჩეოდნენ და არა ინიშნებოდნენ, **თავისუფლება** და **თანასწორობა,** ძირითად პრინციპებად იქნა გამოცხადებული. ამავე დროს დაიწყო საკმაოდ ცნობილი ადამიანების გაწევრიანება ორდენში. **მონტესკიეს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალდაკვალ ორდენში გაწევრიანდა, ფილოსოფოსი **ჰელვეციუსი**, ასტრონომი **ლალანდი**, მათემატიკოსი **კონდორსე**. მათი ლოჟის - **„ცხრა დის“** ოსტატი იყო **ბენჯამინ ფრანკლინი**, ლოჟის წევრები იყვნენ, **ფრანსუა დე ლაროშფუკო** (მწერალი, აშშ-ის კონსტიტუციის მთარგმნელი ფრანგულ ენაზე), **ვოლტერი**, **ლაფაიეტი**, **დ'ალამბერი** (ფილოსოფოსი, განმანათლებელი, „მეცნიერული ენციკლოპედიის“ რედაქტორი), მხატვრები **ვერნე** და **გრეზე**, სკულპტორი **გუდონი**, პოეტი **ანდრე შენიე,** აბატი **სეიესი**. ფრანგული ლოჟების წევრები ხდებიან **მირამბო, ბოგარნე, ბომარშე, ჟოზეფ მარი დე მესტრი, შუაზელი, შამფორი, მასენა, ტალეირანი...**

საფრანგეთის, **1789** წლის **რევოლუციის** პირველ ეტაპზე, რომელსაც ხელისუფლების ჰუმანური, არაძალისხმიერი მეთოდებით შეცვლაზე იყო საუბარი, 578 დეპუტატიდან 477 მასონი იყო. ამ პერიოდში, ევროპაში პირველად დაიწყეს საუბარი ადამიანის უფლებებზე. თუმცა 3 წლის შემდგომ, რადიკალებმა იაკობინელების ტერორამდე მიიყვანა რევოლუცია და ისევე, როგორც მეფე, საფრანგეთის მასონური ორდენის დიდი ოსტატიც დაიღუპა ეშაპოტზე. **1792 წელს საფრანგეთში აიკრძალა მასონური ორდენი,** რევოლუციის ამ ეტაპმა, დიდი დარტყმა მიაყენა მასონურ საძმოს, 70 ათასი მასონიდან, ნახევარიც აღარ იყო დარჩენილი. **1798** წლიდან, ხელახლა დაიწყო ორდენის გაძლიერება, რაც **ნაპოლეონ ბონაპარტთან** და მის ოჯახის წევრებთან იყო დაკავშირებული. ნაპოლეონის წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლების შემდგომ, მასონური ორდენი კვლავ გაიყო, დაიწყო მასონების დევნა, რომლებსაც კვლავ იაკობინელებს ან ბონაპარტისტებს უწოდებდნენ, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყეს ლოჟების მიტოვება, ლოჟების რიცხვიც მცირდებოდა.

1820 წელს საიმპერატორო და სამხედრო ლოჟების წარმომადგენლებმა აღადგინეს შეკრებები მემფისის და მიცრაიმის რიტუალებით მომუშავე ლოჟებში. ამ პერიოდში გრძელდება მასონების დივერსიფიკაცია „როიალისტ“ და „რესპუბლიკელ - ბონაპარტის“ მასონებად.

1804 წელს, საფრანგეთში სან-დომინგოდან ჩამოდის **დე გრასი ტილლი**, რომელიც **ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესის უმაღლესი საბჭოს** (ჩარსლტონი, აშშ) მიერ იყო აღჭურვილი დავალებით - ევროპაში დაენერგა ეს ახალი სისტემა, რომელიც 33 საფეხურისგან შედგებოდა. მან ეს დავალება საფრანგეთში წარმატებით შეასრულა და გააერთიანა ახალი სისტემა, არსებული, დიდი ლოჟის სისტემასთან, შექმნა ახალი უმაღლესი საბჭო. მას შემდგომ, საფრანგეთში ორი საზოგადოება ვითარდებოდა - **„დიდი აღმოსავლეთი“** და **„უმაღლესი საბჭო“**, რომლებსაც „წითლებიც“ (სამეფო კარის წარმომადგენლები) და „შავებიც“ (ეკლესიის წარმომადგენლები), აქტიურად ებრძოდნენ. ამ პერიოდიდან მოყოლებული, საფრანგეთში მასონური მიმართულებები - მათი რეგულარულობა და კუთვნილება, საკმაოდ ბუნდოვანი გახდა. რევოლუციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის განხეთქილება გაღრმავდა. თუმცა, არა მარტო პოლიტიკამ გაჰყო ორად მასონური ორდენი საფრანგეთში - ლიბერალიზმის, პოზიტივიზმის და ლაიციზმის იდეები ეწინააღმდეგებოდა ტრადიციონალისტურ იდეებს. მაგ., **1877** წელს საფრანგეთის დიდმა აღმოსავლეთმა **მოაშორა სიმბოლო,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც შემქმნელის, დიადი არქიტექტორის, ღმერთის აღმნიშვნელი იყო, უფრო მნიშვნელოვნად სინდისის თავისუფლების პრინციპი გამოაცხადა და ლოჟის კარი ათეისტებისთვის გააღო. ამ გადაწყვეტილებამ, საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთი, საბოლოოდ გამოთიშა რეგულარული მასონური მიმართულებიდან. ინგლისის გაერთიანებულმა დიდმა ლოჟამ და მის მაგალითზე ევროპის ყველა რეგულარულმა დიდმა ლოჟამ, შეწყვიტა კავშირი საფრანგეთის დიდ აღმოსავლეთთან, გამოაცხადა იგი ფსევდო, არაღიარებულ მასონურ გაერთიანებად.

1913 წლისთვის საფრანგეთში არსებობდა ორი არარეგულარული მასონური დიდი ლოჟა - **„საფრანგეთს დიდი აღმოსავლეთი“** და **„საფრანგეთის დიდი ლოჟა“**. ამ წელს, საფრანგეთში შეიქმნა მესამე დიდი ლოჟა, რომელსაც **საფრანგეთის ნაციონალური დიდი ლოჟა** ეწოდა, რომელიც ყველაზე მცირერიცხვოანი გაერთიანება იყო, თუმცა რეგულარული და აღიარებული მსოფლიო მასონური იურისდიქციების მიერ. სამწუხაროდ, მანაც დაკარგა რეგულარულობა 2012 წელს და საფრანგეთში ახალი რეგულარული დიდი ლოჟა იქმნება- „საფრანგეთის რეგულარულ მასონთა ალიანსი“.

მეორე მსოფლიო ომმა, კვლავ დიდი დარტყმა მიაყენა ფრანგ მასონებს. ნაცისტურმა მარიონეტულმა ფრანგულმა მთავრობამ, ბერლინის ნაცისტური მთავრობის დავალებით, აკრძალა ყველა მასონური ლოჟა, დაიწყო მასონების დაპატიმრება. ძმების უმეტესობა შეურთდა ფრანგულ პარტიზანულ წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგობას. **მხოლოდ 1943** წლიდან აღდგა ფრანგული ლოჟების მუშაობა ჩრდილოეთ აფრიკის კოლონიებში.

გერმანული ორდენი

დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე, პირველი ლოჟა **1737** წელს, თავისუფალ საიმპერატორო ქალაქ ჰამბურგში, დაარსდა. მას თავიდან **ჰამბურგის ლოჟა**, ხოლო მოგვიანებით **„აბსალომი სამ ჭინჭართან“** ეწოდა. პრუსიის მეფე, **ფრიდრიხ მეორე,** მასონური ორდენის წევრი 1738 წელს გახდა და დაარსა ლოჟა **რეინსბერგში**, შემდგომ კი, **ბერლინში**. დაარსდა ლოჟა **ბრესლაუშიც**, რომლის ბაზაზე გაიხსნა ლოჟა **ვენაში** და ლოჟა **ფრანქფურტ-მაინზე**. იმ დროისთვის, გერმანიაში არ იყო არცერთი დიდი ლოჟა, ვერც ინგლისურმა სისსტემამ ვერ მოიკიდა ფეხი. მეტი პოპულარობით და გავლენით სარგებლობდა რაინდული სისტემები, როგორიც იყო **„მკაცრი მორჩილება“** და **„კლერიკატი“** - ტაძრელთა ლეგენდებზე დაარსებული რაინდული გაერთიანებები. ამ პერიოდში, ბევრი არისტოკრატი, სასულიერი პირი, სამხედრო და ვაჭარი გაერთიანდა სხვადასხვა ორდენში, თუმცა ორდენი ავანტიურისტებისა და აფერისტების სამიზნეც გახდა, ისეთების როგორებიც იყვნენ **როზა, ჯონსონი და გუგომოსი**, რომლებმაც გამოაცხადეს, რომ მხოლოდ მათ იცოდნენ ორდენის ყველა საიდუმლო. „მკაცრი მორჩილების“ ორდენ,ი 1772 წლის შემდგომ, საერ-თოდ ასცდა იმ პრინციპებს და სისტემას, რასაც მასონობა და ინგლისური სისტემა ერქვა. **გოეთემ**, რომელიც ლოჟა **„ამალია“**-ს წევრი იყო, 1780 წელს ამ ორდენს „**მასკარადი**“ უწოდა და მოუწოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ნამდვილ მასონს გაერთიანებისკენ, ამ მასკარადში მონაწილე ორდენებისა და მისი წევრების დასაშლელად. **1782** წელს, **ვილჰელმბადში** ჩატარებულმა კონვენტმა (ყრილობამ) დაშალა „მკაცრი მორჩილების" ე.წ. ტაძრელების ორდენი, მისი ბედი რელიგიურმა ორდენმა **„კლერიკატმაც"** გაიზიარა.

1933 წლისთვის, გერმანიაში, სხვადასხვა სპეციფიკის რამდენიმე დიდი ლოჟა არსებობდა: 1744 წელს დაფუძნებული დიდი ლოჟა „სამი სახელმწიფოსაკენ"; 1798 წელს დაფუძნებული პრუსიის დიდი ლოჟა „მეგობრობა"; 1770 წელს დაფუძნებული დიდი ნაციონალური ლოჟა „მასონური ორდენი"; 1811 წელს დაფუძნებული ჰამბურგის დიდი ლოჟა; ჰანოვერის სამეფოს დიდი ლოჟა - მოგვიანებით ვესფალიის დიდი აღმოსავლეთი; ფრანქფურტის ეკლეკტიკოს მასონთა დიდი ლოჟა; დარმ შტადტის დიდი ლოჟა; საქსონიის დიდი ნაციონალური ლოჟა; „ბაროიტას მზის" დიდი ლოჟა; რეგენსბურგის დიდი ლოჟა; მასონური ერთობა „მზის ამოსვლა"; 1931 წელს დაარსებული გერმანიის სიმბოლური დიდი ლოჟა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გამოჩენილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პოეტი და სასულიერო პირი ცდილობდა დემოკრატიული და ჰუმანისტური იდეის განვითარებას, გერმანიის არც ერთი სახელმწიფო არ შეესაბამებოდა ლოჟის დემოკრატიულ პრინციპებს. **გოეთე, გერდერი, ფიხტე, შლეგელი, ტომას მანი, გუფელანდი, ვაისჰაუფტი და კნიგე** (ეს უკანასკნელები **ილუმინატთა** ორდენის დამფუძნებლები იყვნენ) აქტიურად მუშაობდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტუალების განვითარებაზე. ამ პერიოდში, გერმანელ მასონებს ორი საკითხი აწუხებდათ - დამატებითი საფეხურების შემოღება და „ებრაელთა საკითხი".

მასონების მოწინააღმდეგები იყვნენ კლერიკალური და ნაციონალისტური წრეების წარმომადგენლები. მაგ., გენერალი **ლუდენდორფი** მასონებში, „ხელოვნურ ებრაელებს" ხედავდა. ბევრი გერმანელი, იმ პერიოდში, დასავლურ დემოკრატიისადმი ზიზღით იყო განწყობილი, არაფერი რომ ვთქვათ, ანტისემიტურ განწყობაზე. განმანათლებლობა, ლიბერალიზმი და დემოკრატია იყო მათვის მტრული ფენომენი.

გერმანელები 19-ე საუკუნის ბოლოს, ძალით გაერთიანებული გერმანიის, დიდებაზე და მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდა. ამით, კარგად ისარგებლეს ნაციონალისტებმა და მესამე რაიხის, რეჟიმის პერიოდში მასონები გახდნენ ისეთივე მტრები, როგორც ებრაელები, სლავები, ბოშები, ა.შ.

1933-1934 წლებში ნაცისტებმა მოითხოვეს ლოჟების ოფიციალური დაშლა - 80 ათასი მასონის უსასტიკესი დევნა დაიწყო. მოგვიანებით, მესამე რაიხის სპეციალურმა ქვედანაყოფებმა დაიწყეს მასონების დეპორტაცია, წამება და ლიკვიდაცია. სახელმწიფო პროპაგანდაც აქტიურად ამუშავდა - მასონებს ებრაელებთან და კომუნისტებთან კავშირს და მესამე რაიხის დამხობის სურვილს აბრალებდნენ. მასონებს მასიურად ანადგურებდნენ, ართმევდნენ ქონებას, უშვებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში.

1949 წლიდან მასონური ორდენის აღორძინების პროცესი დაიწყო. 9 დიდი ლოჟა გაერთიანდა ერთი დიდი ნაციონალური ლოჟის იურისდიქციაში, 1970 წლისთვის მათ დანარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენი 2 დიდი ლოჟაც შეუერთდა. დაარსდა ამერიკულ-კანადური და ბრიტანელ მასონთა დიდი ლოჟებიც.
დღეს, გერმანიის გაერთიანებულ დიდ ლოჟაში ხუთი დიდი ლოჟა არის წარმოდგენილი, მათ ერთი საერთო დიდი ოსტატი, ერთი სენატი და ერთი კონვენტი ჰყავთ. ამასთანვე, თითოეული მათგანი ინარჩუნებს საკუთარ ტრადიციულ სტრუქტურას და იერარქიას: გერმანიის თავისუფალი ძველი და აღიარებული ქვისმთლელთა დიდი ლოჟა, 235 ლურჯი ლოჟით; გერმანიის დიდი ნაციონალური ლოჟა, 77 ლოჟით; დიდი ნაციონალური ლოჟა „სამი სახელმწიფოსაკენ", 24 ლოჟით; ამერიკულ - კანადური დიდი ლოჟა, 43 ლოჟით და ბრიტანელი მასონების დიდი ლოჟა, 14 ლოჟით.

მასონობა იტალიაში

XVIII საუკუნის იტალია, დღევანდელი გადმოსახედიდან, მხოლოდ გეოგრფიული ცნებაა. ლოჟები იხსნებოდა ნეაპოლიტანურ სამეფოში, ფლორენციაში, ავსტრიულ მილანში, ვენეციის რესპუბლიკაში, პაპის ოლქში, რომში. ძირითადად, ლოჟებს უცხოელები - ფრანგები და ინგლისელები აფუძნებდნენ.

იტალიურ ლოჟებში, უკვე მაშინ შესაძლებელი იყო გეხილათ ებრაელები, კათოლიკეები და პროტესტანტები, რაც კათოლიკური ეკლესიისათვის ერეტიკულობის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. ამასთანავე, ლოჟის წევრები იყვნენ განმანათლებლები, დეისტები, რაციონალისტები. **1738** წელს, ფაქტობრივად ბრმა რომის **პაპმა კლიმენტი მეთორმეტემ**, კარდინალების მიერ მომზადებული ბულა „**In Eminenti**"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსცა, რომელშიც მკაცრი და ნეგატიური შეფასება მისცა ორდენს და განაჩენი გამოუტანა მასონებს. მათ იჭერდნენ, სამუდამო პატიმრობაში უშვებდნენ ან ხოცავდნენ, განკვეთდნენ ეკლესიიდან. კათოლიკურ ეკლესიას მასონების სიძულვილი, განსაკუთრებით კი ფრანგული ლოჟების მიმართ, მას შემდეგ გაუღვივდა, რაც საფრანგეთში მოხდა რევოლუცია, ნაპოლეონმა "გაათავისფულა" იტალია და განდევნა პაპი.

იტალიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა სწორედ მასონებთან არის პირდაპირ დაკავშირებული. იტალიის ვიცე-მეფე და ამასთანავე, იტალიის დიდი ოსტატი, ნაპოლეონ ბონაპერტეს შვილობილი, **ეჟენ ბოგარნე** იყო. სწორედ მისი და ორდენის ინიციატივით, მოხდა იტალიის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება. სხვათაშორის ნეაპოლის მეფე, ქართველი დადიანების ნათესავი - **მიურატიც** მასონური ლოჟის წევრი გახლდათ.

ნაპოლეონის განდევნის და რომში პაპის დაბრუნების შემდგომ, 1814 წლიდან, იტალიელ მასონებს მოუწიათ, ოფიციალური მუშაობის შეწყვეტა და იატაკქვეშეთის რეჟიმში გადასვლა. მხოლოდ 19-ე საუკუნის ორმაცდაათიან წლებში დაიწყო საძმოს ეტაპობრივი აღორძინება. 1861 წელს ტურინის **„ავზონიას"** ლოჟიდან შეიქმნა ტურინის დიდი აღმოსავლეთი, დაფუძნდა შოტლანდიური წესის ლოჟა **„კაპიტულარე დანტე ალიგიერი"**, პალერმოს დიდი აღმოსავლეთი, რომლის ოსტატი **ჯუზეპე გარიბალდი** გახლდათ. **1869** წელს, რომში ჩატარდა კონგრესი, რომელზეც 150 ლოჟა იყო წარმოდგენილი, **შეიქმნა ერთიანი ლოჟა - იტალიის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული დიდი აღმოსავლეთი, რომლის **დიდი** ოსტატი **ჯუზეპე მაძინი** გახდა.

იტალიელები ინდივიდუალიზმით გამოირჩეოდნენ, მასონურ ორდენში ბევრი ქვე-მიმდინარეობა განვითარდა, ხშირი იყო შიდა დაპირისპირებაც. არც რომის პაპი და კათოლიკური ეკლესია ივიწყებდა იმას, რომ იტალიის გაერთიანება, ეკლესიის აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვა და პაპის ვატიკანში „გამოკეტვა" მასონების „დანაშაულებრივი ქმედება იყო". პაპები **პიი IX** და **ლეოპოლდ XIII** „ოცდაცამეტთა" ორდენში „დექრისტიანიზაციის ჩანასახს" ხედავდნენ და ამის „აღსაკვეთად" **1892** წელს გამოსცეს ბულა **„Inimica Vis"**, რომელშიც მასონობა წარმოადგინეს, როგორც სექტა, რომელიც ტოლერანტობისა და ყველა რელიგიის პატივისცემის „ნიღაბის" ქვეშ, ევანგელიზმისა და რევოლუციის იდეის გაერთიანების სურვილს მალავდა. ნავთი ცეცხლს კი ფრანგმა ჟურნალისტმა **გაბრიელ ანტუან ჟოგანპაჟემ** დაასხა, რომელმაც **ლეო ტაქსილის** ფსევდონიმით წლების განმავლობაში ბეჭტავდა ბინძურ სტატიებს, ჯერ რომის პაპზე, ხოლო შემდგომ როდესაც გადავიდა კათოლიკური ეკლესიის ბანაკში - მასონურ ლოჟებზე.

ლეო ტაქსილი მხოლოდ სამი თვე იყო მასონური ლოჟის წევრი, საიდანაც იგი გარიცხეს. გამომდინარე იქიდან, რომ მან მასონური ორდენის შესწავლა „ჯეროვნად" ვერ მოასწრო, იგი თავის სტატიებისათვის იგონებდა და თხზავდა ისტორიებს საკუთარი ბინძური ფანტაზიიდან. ასე მოიგონა მან სატანური ორგიები, სატანის ქალიშვილის არსებობა და ყველასთვის „ცნობილი" **ბაფომეტი**. მისი წიგნები დღევან-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ ენაზე, რომ ვთქვათ ბესტსელერს წარმოადგენდნენ. ლეო 11 წელი ავრცელებდა ამ ცრუ ცნობებს და ამით ფულს შოულობდა, ასე ქალაქ **ტრიენტეში,** ფასიანი ბილეთების შეძენის საფასურად, დამსწრე საზოგადოებას „ეშმაკის ქალიშვილი" წარუდგინა. **1897** წელს, ლეომ პარიზში გამოაცხადა, რომ ყველა მისი განცხადება და მასონების „მხილება" **იყო სიცრუე** და მხოლოდ მისი **ფანტაზიის ნაყოფი**. სამწუხაროდ, მისი ამ განცხადების გაკეთების შემდგომაც კი, მასონური ორდენი კვლავ ზარალდებოდა იმ ცრუ ფანტაზიებისაგან, რომლებსაც ლეო წლების განმავლობაში თესავდა.

მუსოლინიმ ჰიტლერზე ადრე დაიწყო მასონების დევნა. **1925** წლიდან იტალიელ მასონებს ისევ ურთულესი ხანა დაუდგათ, მუსოლინის ფაშისტური რეჟიმი სასტიკად უსწორდებოდა მათ: მასონებს აპატიმრებდნენ, ხოცავდნენ და სპეციალურ ბანაკებში ანაწილებდნენ.

1970 წელს ინგლისის გაერთიანებულმა დიდმა ლოჟამ სცნო იტალიის დიდი აღმოსავლეთი, როგორც რეგულარული დიდი ლოჟა. იტალიელები დაუბრუნდნენ უძველეს ტრადიციებს და რეგულარული მასონური ორდენის საფუძვლებს. ორდენის წევრები ბევრი გამოჩენილი იტალიელი გახლდათ, მათ შორის **ჯაკომო პუჩინი, ბოიტო, კარდუჩი, მანძონი**, ა.შ. თუმცა სკანდალებიც იყო, დაკავშირებული „პი 2"-თან („პროპაგანდა-2") და მაფიოზურ-კრიმინალურ გარჩევებთან. მეოცე საუკუნის ბოლოს აქტიური დიალოგი დაიწყო კათოლიკურ ეკლესიასა და მასონებს შორის. ამ პერიოდისთვის, იტალიაში 500-ზე მეტი ლოჟა და 20 ათასზე მეტი მასონი იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II. მასონიური ორდენი აშშ-ში

მასონური ორდენი ინგლისის კოლონიებში მეტროპოლიიდან გავრცელდა და გავითარდა. ინგლისის ორივე დიდი ლოჟა გასცემდა **ჩარტერს,** ახალი ლოჟების გასახსენელად ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე. ლურჯი ლოჟების ერთობას კოლონიებში და ბრიტანეთის რეგიონებში **პროვინციული დიდი ლოჟები** ეწოდებოდა. ამავე პერიოდში, გაიცემოდა სპეციალური ნებართვა - **სადეპუტაციო ჩარტერი**, კონკრეტულ ინდივიდებზე, რომლებიც დიდი ოსტატების წარმომადგენლებად ითვლებოდნენ ინგლისის ამა თუ იმ კოლონიაში.

პირველი ლოჟის მუშაობა აშშ-ში **1730** წელს გაიმართა, ხოლო პირველი **მასონური კონსტიტუცია** აშშ-ში გამოიცა **1734** წელს, **ბენჯამინ ფრანკლინის** მიერ, რომელიც ამ დროს უკვე **ფილადელფიის ლოჟის** წევრი იყო. პირველი ამერიკელი, რომლის ინიცირება ცნობილია, იყო **ჯონატან ბელჩერი**, რომელიც **1704** წელს, ლონდონში ეზიარა საძმოს საიდუმლოს. მასონების როლი უდიდესია ამერიკის შეერთებული შტატების ფორმირებაში. ცნობილია „**ბოსტონის ჩაის სმა**", რომელსაც ბოსტონის ერთ-ერთ ტავერნაში („**მწვანე დრაკონი**") შეიკრიბნენ ამერიკელი პატრიოტები რის შემდგომაც, ინდიელების სამოსში გადაცმულები თავს დაესხნენ ბრიტანულ სავაჭრო ხომალდებს და გაანადგურეს ჩამოტანილი ჩაის დიდი მარაგი, რომელიც ოკეანეში გადაჰყარეს. მათი ლიდერი, **პოლ რევერი**, შემდგომში, **მასაჩუსეტსის** დიდი ოსტატი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ პერიოდშიც, მასონები მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი და აქტიურად ჩართულნი, აშშ-ის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესში. დამოუკიდებლობის აქტის 56 ხელმომწერთაგან, სულ მცირე 8 (ზოგი წყარო კი ამტკიცებს, რომ 24!) მასონი იყო, ასევე აშშ-ის კონსტიტუციის 39 ხელმომწერთაგან, 13 სამმოს წევრი იყო. ამერიკის პირველი პრეზიდენტიც, **ჯორჯ ვაშინგტონი**, რომელმაც აშშ-ის დედაქალაქი სწორედ მასონური რიტუალის სრული დაცვით დააფუძნა, მასონი და დიდი ოსტატი გახლდათ.

1800 წლისთვის აშშ-ის ტერიტორიაზე 347 ლოჟა არსებობდა, ხოლო თითო შტატს დამოუკიდებელი დიდი ლოჟა გააჩნდა. მიუხედავად მასონთა დიდი როლისა აშშ-ის ფორმირების პროცესში, მცდარი შეხედულებაა, რომ აშშ-ის ყველა პრეზიდენტი მასონი იყო. **მასონი პრეზიდენტები** იყვნენ: **ჯორჯ ვაშინგტონი**, ჯეიმს მონრო, ენდრიუ ჯექსონი, ჯეიმს კ. პოლკი, ჯეიმს ბუჩენენი, ენდრიუ ჯონსონი, ჯეიმს ა. გარფილდი, უილიამ მაკინლი, **თეოდორ რუზველტი**, უილიამ ჰოვარდ ტაფტი, უორენ ჰარდინგი, **ფრანკლინ დ. რუზველტი**, ჰარი ტრუმანი, ჯერალდ ფორდი, ასევე არის მტკიცებულებები, რომ ჯეიმს მედისონი და თომას ჯეფერსონიც მასონები იყვნენ.

მასონური საიდუმლოს ფესვები - სინათლის ძიებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III ინგლისის პირველი დიდი ლოჟები

დღევანდელ მასონობას აქვს საკუთარი დაბადების დღე - ეს **24 ივნისია, წმ. იოანე ნათლისმეცმლის ხსენების დღე**. ამ დღეს, 1717 წელს, ლონდონში წმ. პავლეს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ ტავერნაში შეიკრიბა ლონდონის 4 ლოჟა და დააფუძნა ინგლისის დიდი ლოჟა. მათ დიდი ოსტატი აირჩიეს და კონსტიტუციის ტექსტიც დაამტკიცეს. ამ შეხვედრის ოქმები მხოლოდ 5 წლის შემდგომ გამოჩნდა, ხოლო თვითონ კონსტიტუცია კი, 15 წლის შემდგომ დაიბეჭდა. მას პრესვიტერიანელი პასტორის, **ჯეიმს ანდერსონის** სახელი დაუკავშირდა, რომელმაც შეადგინა და დაბეჭდა მასონთა კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციაში პირველად გამოქვეყნდა *ძველ ხელნაწერებში* არსებული მასონური უფლებები და მოვალეობები, ლენდმარკები და გარკვეული რიტუალების აღწერა.

ამ ახალ მასონურ ერთობას დაუყოვნებლივ ყურადღება მიაქციეს სამეფო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ერთ-ერთი პირველი ვინც ლოჟას შეუერთდა იყო ცნობილი ფრანგი თეოლოგი, გუგენოტი, ფიზიკოსი - **თეოფილე დეზაგიულიე**. მასონურ ორდენს უერთდებიან ტიტულოვანი პირებიც - უელსის პრინცი, **ფრანც სტეფან ლოტარინგელი** და სხვა სამეფო ოჯახის წარმომადგენლები. მასონურ ლოჟაში ყველა სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ფენის წარმომადგენელი მამაკაცები შედიოდნენ, მათ შორის თავადაზნაურობა, მეცნიერები, სასულიერო პირები და სამხედროები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ სამშენებლო დოკუმენტებში გვხდება წინადადება: **„Sculptores Lalidum Liberum“** (ლათ. “თავისუფალი ქვების ქვისმთლელნი“). თავისუფალი იყო როგორც „ქვა“, ასევე მისი მთლელიც და თავისუფალი ქვისმთლელი იყო დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში, გაწევრიანებული მხოლოდ მასსავით თანასწორი და თავისუფალი ქვისმთლელთა გილდიაში.

1600 წელს, ოპერტიული ლოჟის წევრი ხდება მამაკაცი, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი კავშირი ოპერატიულ - პრაქტიკოსს ქვისმთლელებთან. მას „მიღებული, აღიარებული“ მასონი, ქვისმთლელი ეწოდა. 1717 წლისთვის, ლოჟაში **„რომაელები და ვაზის მტევანში“** იყო გაცილებით მეტი აღიარებული მასონი, ვიდრე ოპერატიული.

1751 წელს გამოჩდნენ ისეთ ლოჟები, რომლებიც საკუთარ თავს არ მიაკუთვნებდნენ ინგლისის დიდ ლოჟას, უწოდებნენ მათ „ახლებს“ და ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი არღვევდნენ ძველ ტრადიციებსა და ლენდმარკებს. მათ საკუთარი დიდი ლოჟა შექმნეს. „ძველებში“ უფრო ნაკლებად იყვნენ არსიტოკრატიული წრის წარმომადგენლები, მეტ წილად სამხედროები და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები. ორივე დიდი ლოჟის დიდი ოსტატი სამეფო ოჯახის წარმომადგენელი იყო. 1813 წელს ორივე ლოჟა მივიდა საერთო კონსესუსამდე და გაერთიანდა, რის საფუძველზეც შეიქნმა **ინგისის გაერთიანებული დიდი ლოჟა.**

ამავე პერიოდში, ირლანდიისა და შოტლანდიის დიდი ლოჟებიც შეიქმნა. მათი ინიციატივით მრავალი ახალი დიდი ლოჟა გაიხსნა ევროპასა და აშშ-ში. მალევე ლოჟები ინსტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლირდება ბრიტანეთის ყველა კოლონიაში, სადაც ლოჟების წევრების უმეტესობა სამხედროები იყვნენ.

ინგლისის დიდი ლოჟა და მასში შემავალი ლოჟები იყვნენ ჰარმონიის, თავისუფალი აზრისა და დემოკრატიის ეტალონი. ამასთანავე, თავისუფლება წესრიგთან ერთად თანაარსებობდა.

1813 წლის **27 დეკემბრიდან** ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟის რიგები იზრდება, ისევე, როგორც ლოჟების რაოდენობა. 1818 წელს მის შემადგენლობაში უკვე 115 ლოჟა ლონდონში და 431 ლოჟა ინგლისის სხვა ქალაქებში შედიოდა, ისევე როგორც 46 ლოჟა შექმნილი იყო სამხედრო ძალებში და ფლოტზე, 56 ლოჟა კი - ინგლისის საზღვრებს მიღმა, მათ შორის კოლონიებში. როდესაც, 1967 წელს, დიდი ოსტატი გახდა კენტის ჰერცოგი, ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟა 7300 ლოჟას მოიცავდა, 1981 წელს კი 8115. ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟა ითვლება ყველა რეგულარული მასონისთვის დედა ლოჟად.

თავი IV შოტლანდიური წესდება

შოტლანდიური წესდება წარმოიშვა საფრანგეთში, 18-ე საუკუნის დასაწყისში. მისი სახელწოდება, შოტლანდიელი ემიგრანტების დამსახურებაა, რომლებიც ინგლისელებს გაურბოდნენ საფრანგეთში. **ენდრიუ რამსის** მეშვეობით, „მაღალი საფეხურების“ სისტემა ნელ-ნელა დამკვიდრდა ბევრ ფრანგულ ლოჟაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონიებში შოტლანდიური წესი **ეტიენ მორინთან** ერთად შევიდა **1761 წელს**, როდესაც შევალიე მორინი „ახალი სამყაროს დიდ ინსპექტორად" დაინიშნა. მან 25 საფეხურიანი წესდებით მომუშავე „სრულყოფის ორდენი" ჩამოაყალიბა სან-დომინგოზე და სწორედ კარიბის ზღვის ამ კუნძულიდან გავრცელდა შოტლანდიური წესი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე და მთელს მსოფლიოში. 1765 წელს ორდენი დაფუძნდა ნიუ იორკში, ხოლო 1783 წელს **ჩარლსტონში**, ჩრდ. ქეროლაინაში. სწორედ ჩარლსტონში, 19-ე საუკუნის დასაწყისში ვითარდება შოტლანდიური წესი.

1801 წელს „სრულყოფის ორდენი" იცვლის სახელწოდებასა და სტრუქტურას, როდესაც ჩარლსტონში ჩამოდიან მეფე ფრედერიკ დიდის წარგზავნილები - **ფრედერიკ დალკო** და **ჯონ მიტჩელი**. მათ ჩამოიტანეს ორდენის ახალი წესდება, რომელშიც დამატებით 8 საფეხური იყო გათვალისწინებული და სახელწოდება იყო შეცვლილი - ორდენს **„ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდება"** ეწოდა.

1801 წლის 31 მაისს, ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდებოს **ოცდაცამეტთა ხარისხის უმაღლესი საბჭო** დაარსდა.

ამერიკის ტერიტორიაზე შოტლანდიური წესდება აქტიურად მხოლოდ სამხრეთ შტატებში ვითარდებოდა, ჩრდილოეთით კი იორკული წესდება დომინირებდა. ასეთი სუსტი პოზიციები აშშ-ის სამოქალაქო ომის დასრულებამდე შენარჩუნდა, მხოლოდ 1867 წელს, შოტლანდიური წესდება გაძლიერდა აშშ-ის ჩრდილოეთშიც, როდესაც **ჩრდილოეთის მასონური იურისდიქცია** დაფუძნდა.

მასონური საიდუმლოს ფესვები - სინათლის ძიებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების დევიზია **„Ordo ab Chaos“** – "ორდენი ქაოსის მიღმა". ეს დევიზი საუკეთესოდ ასახავს ორდენის არსს 19-ე საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც მასონობა იყო უდიდესი ღირსება, პატივი და ამასთანავე, ორდენი აძლევდა მის წევრებს საშუალებას, მიეღოთ დამატებითი ცოდნა, ბრმად დაყრდნობოდნენ ორდენის სხვა წევრებს და გაეღრმავებინათ ურთიერთობები.

შოტლანდიური წესი წევრთა რაოდენობით **იორკულ წესს** ჩამორჩება, მასში შედის მასონური პირველი სამი სიმბოლური საფეხური (წმ. იოანე ნათლისმცემლის საფეხურები), რომელსაც თვითონ ლურჯი ლოჟები ანიჭებენ მასონს და არა შოტლანდიური წესი. მესამე საფუხურის შემდგომ მოდის დამატებით 29 საფეხური და ცნობილი **ოცდამეცამეტე სიმბოლური საფეხური**, რომელსაც **სუვერენი დიდი ინსპექ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორის ხარისხი ეწოდება. ამ ხარისხის მასონები აკომპლექტებენ იურისდიქციის უმაღლესს საბჭოს. პირველ სამ საფეხურსა და სიმბოლურ 33-ე საფეხურს შორის, როგორც აღვნიშნე 29 ხარისხია, რომელიც ხუთ ჯგუფშია გადანაწილებული:

<u>**სრულყოფილების ლოჟა**</u>: მეოთხე- მეთოთხმეტე ხარისხები, რომელზეც მუშაობა **სოლომონის ტაძრის, დაკარგული სიტყვის** და **ღმერთის უთქმელ სახელთან** დაკავშირებულ რიტუალებზეა დაფუძნებული. ეს ხარისხები იორკული წესის **სამეფო თაღის** ხარისხების იდენტურია.

<u>**იერუსალიმის უფლისწულთა საბჭო**</u>: მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ხარისხები, მუშაობა სოლომონის ტაძრის რეკონსტრუქციის ალეგორიაზე მიმდინარეობს. აქვე დავსძენ, რომ ეს ხარისხები და მათზე მუშაობა არ ხდება კონკრეტულ მასონურ იურისდიქციებში და წარმოებს მხოლოდ როზენკროიცერულ საზოგადოებაში.

<u>**როზენკროიცერული ჯგუფი**</u>:მეჩვიდმეტე - მეთვრამეტე ხარისხები - ალქიმიურ სიმბოლიკაზე მუშაობა.

<u>**კადოშის საბჭო**</u>: მეცხრამეტე - ოცდამეათე ხარისხები, მუშაობა ტაძრელთა ფილოსოფიურ სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული. **კადოში** ებრაული სიტყვაა და **წმინდას** ნიშნავს.

<u>**სამეფო საიდუმლოს უფლისწულთა კონსისტორია**</u>: ოცდამეთერთმეტე და ოცდამეთორმეტე ხარისეხები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბერტ პაიკი

ALBERT PIKE.

ალბერტ პაიკთან და მის მოღვაწეობასთან მრავალი მარ-თალი და ცრუ ამბავი, ისტორია და ჭორი დადის. იგი 1809 წელს, მასაჩუსეტში დაიბადა, სკოლიდანვე სწავ-ლობდა ლათინურს, ძვ. ბერძნულსა და ივრითს. მან ჩააბარა ჰარვარდის უნივერსი-ტეტში, სადაც 2 წლის საბაკალავრო კურსი ერთ წელიწადში დახურა, თუმცა შემდგომში ვეღარ შეძლო უნივერსიტეტის სწავლის მა-ღალი საფასურის გადახდა. იგი მასაჩუსეტსიდან არკანზასში გადადის, სადაც პედაგოგიურ და საგამომცემლო საქმი-ანობას ეწევა. მოგვიანებით ის იურისპრუდენციას ეუფლება და შტატის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეც ხდება. 1834 წელს პაიკი ქორწინდება **ანა ჰამილტონზე** და მეუღლის მდიდარი მზითვების მეშვე-ობით პოლიტიკაში ერთვება. 1846 წლიდან კი მისი სამხე-დრო კარიერა იწყება.

1850 წლიდან პაიკი არკანზასის ერთ-ერთ ლოჟაში ინიცი-რებას გადის და იორკული წესის დამატებით ხარისხებსაც იღებს. 1853 წელს იგი ჩარლსტონში მიემგზავრება, სადაც 32-ე ხარისხის მიღების შემდგომ არკანზასის შოტლანდიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესის ინსპექტორის მოადგილედ ინიშნება. ამ პერიოდისათვის შოტლანდიური წესი საკმაოდ მცირერიცხოვანია (სავარაუდოთ ათასამდე წევრი). 1859 წლის იანვარში ალბერტ პაიკი შოტლანდიური წესდების სამხრეთ მასონური იურისდიქციის ხელმძღვანელი ხდება, ცხოვრების ბოლომდე - 1891 წლამდე. 1861 წელს ბრიგადის გენერალის წოდებით ალბერტ პაიკი კონფედერაციულ ჯარებს ხელმძღვანელობს, თუმცა ერთი წლის თავზე იგი გადადგა და დაადანაშაულა კონფედერატების მთავრობა. იგი დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს.

1862-1868 წლებში, დევნილი, როგორც კონფედერატების აგრეთვე იუნიონისტების მიერ, ოჯახის და კაპიტალის გარეშე დარჩენილი, ალბერტ პაიკი მიდის **ოზარკის** მთებში, სადაც ის, მთელი ეს პერიოდი, ცხოვრობს მარტო, სწავლობს **ჰერმეტიკას, ალქიმიას, კაბალას**, აღმოსავლურ მანუსკრიპტებსა და **ფილოსოფიას**. ამავე პერიოდში იგი ამუშავებდა და ანვითარებდა შოტლანდიურ რიტუალს, დასავლური ეზოთერიკული ტრადიციების კვალდაკვალ. მუშაობის დასრულების შემდგომ, იგი მიემგზავრება ქ. ვაშინგტონში და გადასცემს მის ნაშრომებს შოტლანდიური წესის უმაღლესს საბჭოს. ა.პაიკი ვაშინგტონში 1891 წელს გარდაიცვალა. პაიკის კვლევების შედეგებს და დასკვნებს ბევრი მასონური იურისდიქცია არ ეთანხმება.

მასონური საიდუმლოს ფესვები - სინათლის ძიებაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V იორკული წესდება

შოტლანდიური წესის მსგავსად, იორკული წესდების დამატებითი ხარისხების მისაღებად, კანდიდატი ლურჯი ლოჟის ოსტატი მასონი უნდა იყოს. იორკული წესდების სისტემა, ისევე როგორც შოტლანდიური წესდების - ეფუძნება სიმბოლიკის დამუშავებას, განვითარებას და ახსნას.

შოტლანდიური წესდებისგან განსხვავებით, რომელიც ევროპულ კონტინენტზე განვითარდა, იორკული წესი ინგლისში, ქალაქ იორკში იღებს სათავეს. ეს წესი სამი სხვადასხვა ჯგუფისგან შედგება. ეს არის **სამეფო თაღი, იდუმალი ხარისხები და რაინდული საზოგადოებები**, მათ შორის ტაძრელთა ორდენი.

თავდაპირველად, მხოლოდ სამეფო თაღის (რომელიც დღემდე ყველაზე საკრალურ და მნიშვნელოვან ხარისხებს მოიცავს) და ტაძრელთა ორდენის ხარისხებზე მიმდინარეობდა მუშაობა და მინიჭება, 1730 წლისთვის კი დაიწყო დამატებითი ხარისხების შემოღება.

იორკული წესდების განსხვავდება სხვა მასონური პროტოკოლისაგან იმითაც, რომ რაინდულ ხარისხებზე (მაგალითად მალტისა და ტაძრელთა ორდენებში) მხოლოდ ქრისტიან მასონებს იღებენ. **სამეფო თაღი** მნიშვნელოვანი ხარისხების ერთობაა, იგი ცალკე მდგომი ჯგუფია, რომელშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედის: **ნიშნის ოსტატი** (Mark Master), **ყოფილი ოსტატი** (Past Master), **შესანიშ-ნავი ოსტატი** (Most Excellent Master) და **სამეფო თაღი** (Royal Arch).

იდუმალი ხარისხი შედგება - **სამეფო ოსტატის** (Royal Master), **შერჩეული ოსტატის** (Selected Master), **სუპერ შესანიშნავი ოსტატის** (Supper Excellent Master) ქვე ხარისხებისაგან.

რაინდული საფეხურები, რომელიც ამასთანავე ცალცალკე დამოუკიდებელი საზოგადოებებია, შედგება შემდეგი ხარისხებისაგან,: **წითელი ჯვრის ორდენი** (Order of the Red Cross), **მალტის რაინდთა ორდენი** (Order of the Knights of Malta) და ტაძრის რაინდთა, **ტაძრელთა ორდენი** (Order of the Knights Templar).

ტაძრელთა იორკული ხარისხის სიმბოლო

ტაძრელთა, ტაძრის რაინდთა ორდენი, 1118 წელს წარმოიშვა, როდესაც ფრანგი დიდებუ ლი **ჰიუგო დე პეინმა** და კიდევ 8 რაინდმა დადო ფიცი და გაემგზავრა წმინდა მიწაზე, რათა დაეცვათ იერუსალიმში მიმავალი ქრისტიანი პილიგრიმები. ისინი ხდებიან პირველი მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი ბერები ქრისტიანულ ისტორიაში და მათ ეწოდათ „ქრისტეს ღარიბი რაინდები“.



1124 წელს, ჰიუგო დე პეინი ბრუნდება საფრანგეთში და **ტრიეს საბჭოზე** რომის პაპისგან იღებს დამატებით ნებართვებს, პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას. რამდენიმე ათწლეულში რაინდთა ორდენი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საზოგადოება ხდება.

სახელწოდება **„ტაძრის რაინდები“** ანუ ტაძრელები, იმ ადგილმდებარეობიდან გამომდინარე მიიღეს, რომელიც მათ იერუსალიმის **მეფე ბოლდუინ მეორემ** გამოუყო თავდაპირველად დასაბანაკებლად, როდესაც ისინი იერუსალიმში ჩავიდნენ. ეს ადგილმდებარეობა იყო სოლომონის ტაძრის ყოფილი თავლები. ორდენის სახელწოდება გახდა **„ქრისტეს და სოლომონის ტაძრის ღარიბი ჯარისკაცები“** (*Pauperes commilitones Christi Templique Solomonic*), მოკლედ კი „ტაძრის რაინდები“. 1139 წელს, ორდენი იღებს დამატებით უფლებებსა და უმაღლეს ძალაუფლებას, რომელიც აქამდე არცერთ სამხედრო ორდენს არ გააჩნდა. ორდენი პასუხისმგებელია მხოლოდ რომის პაპის წინაშე, არ იხდის არანაირ გადასახადს და არც ერთ სახელმწიფოს ადმინისტრაციას არ ემორჩილება, ამასთანავე სრულად იტოვებს სამხედრო ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავლს და იღებს დაუბეგრავ შემოწირულობას - სასახლეების, მიწების და ფულის სახით. ტაძრელები აკონტროლებდნენ პალესტინას, სირიას, მათი ძალაუფლება ვრცელდებოდა წმინდა მიწაზეც და კათოლიკურ ევროპაშიც.

ჰაიფას ახლოს დამარცხების შემდგომ, 1291 წლიდან იწყება ტაძრელთა ორდენის შესუსტება. წმინდა მიწის დაკარგვის შემდგომ, ტაძრელები მიემგზავრებიან **კვიპროსზე** რეორგანიზაციისათვის. აღმოსავლეთში არაფერი დარჩენოდან, ამიტომაც მთელი ენერგია და ყურადღება გადაიტანეს დასავლეთისაკენ, სადაც მათ საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური, ბიზნეს და საბანკო იმპერია ჰქონდათ შექმნილი. სწორედ მათმა ფინანსურმა სიძლიერემ, რომის პაპის და საფრანგეთის სამეფო კარის მათდამი ფინანსურმა დამოკიდებულებამ განაპირობა მათი საბოლოო განადგურების სურვილი. საფრანგეთის მეფე **ფილიპმა** 1306 წელს საფრანგეთიდან ყველა ებრაელი გააძევა, იმისათვის, რომ მათ ქონებას დაპატრონებოდა, 1311 წელს კი იტალიელი ბანკირების გაძარცვით ისახელა, გააუფასურა ეროვნული ვალუტა და რაც მთავარია შეეცადა რომის პაპის **ბონიფაცი მერვის** მძევლად აყვანა, გამორჩენის მიზნით. იგი ძლივს გადაურჩა ამბოხს, სწორედ ტაძრელების დახმარებით.

მოვიდა დრო და მეფე ფილიპმა გადაწყვიტა ტაძრელების ქონება და განთქმული „განძი“ ჩაეგდო ხელთ. ამისათვის ორი ხელსაყრელი გარემოება დაემთხვა : რომის პაპი ხდება **კლიმენტ მეხუთე**, რომელიც რომიდან ფრანგულ ქალაქ ავიონში გადმობარგდა და რომლის სახელთანაც „ბაბილონის ყმობის“ ხანაა დაკავშირებული. პაპმა არჩევის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარების სანაცვლოდ მეფე ფილიპს აღუთქვა ყველა-რომ გადასახადის გაუქმება, რომელიც ვატიკანმა საფრანგეთს დაუდგინა. ამასთანავე, ვატიკანის ინკვიზიციის ბრალდებით დაპატიმრებული იყო ყოფილი ტაძრელი **დე ფლორიანი**, რომელსაც ბრალად ედებოდა „სოდომიზმი", კერპთაყვანისცემლობა და ღვთისგმობა. 1307 წლის 13 ოქტომბერს საფრანგეთის ტერიტორიაზე, გამთენიისას დაიწყო ტაძრელთა მასობრივი დაპატიმრება. ორდენის მაგისტრის გარდა, 2000-დე ორდენის წევრი დაატყვევეს. ეს იყო მასშტაბური ოპერაცია, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და კარგად გამოჩნდა, რომ ამ ნაბიჯისთვის რომის პაპი და მეფე ფილიპი დიდი ხანია ემზადებოდნენ. რომის პაპის დეკრეტით დაპატიმრებები გაგრძელდა ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც ვატიკანის იურისდიქცია ვრცელდებოდა. ტაძრელების წინააღმდეგ გაისმა შემდეგი ბრალდებები: ერეტიკოსობა, ქრისტეს ღვთაებრივი ბუნების უარყოფა, ჯვრის შეურაცყოფა, სოდომიზმი, ჰომოსექსუალური ურთიერთობები და ყველაზე ცნობილი ბრალდება - **ბაფომეტის კერპის** თაყვანისცემა. ბრალდებას არ გააჩნდა არანაირი მტკიცებულება, გარდა წამების შედეგად მიღებული „აღსარებების", ბაფომეტის კერპიც ვერ იპოვეს. 60 რაინდიდან რამდენიმე პატიმრობაში აღესრულა, დანარჩენები კი 1310 წელს კოცონზე დაწვეს, როგორც ერეტიკოსები. 7 წლიანი პატიმრობის შემდგომ, 1314 წელს, ორდენის დიდმა ოსტატმა **ჟაკ დე მოლემაც** გაიზიარა სხვა რაინდების ბედი, ისიც კოცონზე დაწვეს. დე მოლეს გარდაცვალების შემდგომ, ერთი წლის განმავლობაში, დაიღუპა მეფე ფილიპიც და პაპი კლემენტიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VI ვარდისა და ჯვრის ორდენი

ქრისტიან როზენკროიცერის მიერ დაფუძნებული საზოგადოება, როგორც წარსულში, ასევე დღევანდელობაში, დასავლური ეზოთერიკის ერთ-ერთ ყველაზე მისტიურ საიდუმლო ორდენს წარმოადგენს.

როზენკროიცერული საზოგადოება ევროპის ისტორიის სცენაზე 17-ე საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. როზინკროიცერული ორდენის პირველი ხსენება გვხდება ორ დოკუმენტში; „**Fama Fraternitatis**" (1614) და „**Confessio Fraternitatis**" (1615), რომელიც როგორც ცნობილია ევროპულ ხუთ ენაზე არსებობდა, თუმცა ორიგინალური ვერსია მხოლოდ გერმანულ და ლათინურ ენებზეა შემორჩენილი.

Fama მოგვითხრობს ისტორიას ქრისტიან როზენკროიცერზე, რომელიც 5 წლის ასაკში მშობლების მიერ მივლინებული იქნა მონასტერში, ხოლო 10 წლის შემდგომ იგი გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთში, სადაც არაბულ და ეგვიპტურ მისტერიებს გაეცნო. ევროპაში დაბრუნებულმა, ქრისტიანმა, რომელიც საკუთარ თავს უკვე „მამა ქრისტიან როზიკროსს" უწოდებდა, 1407 წელს მცირე ჯგუფთან ერთად, დაარსა „ვარდისა და ჯვრის" ორდენი.

1484 წელს ქრისტიან როზენკროიცერი გარდაიცვალა, ზუსტად 120 წლის შემდგომ კი, როგორც მან იწინასწარმეტყველა, მისი სამარხი საიდუმლო წესით იქნა გახსნილი მისი საძმოს წევრების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროის ბევრი გამოჩენელი მეცნიერი და ფილოსოფი ეძებდა ამ საიდუმლო ორდენს, რათა მისი წევრი გამხდარიყო და დამატებითი ცოდნა შეეძინა.

ზოგი მათგანი აცხადებდა, რომ იპოვა კიდეც. ბევრი ფიქრობდა, რომ ქრისტიან როზენკროიცი იყო ცნობილი ინგლისელის, **ფრენსის ბეკონის** ფსევდონიმი.

როზენკროიცერების პირველი მანიფესტი სავარაუდოდ **ჰერიხ კუნრატ ჰამბურგელის** (ფილოსოფოსი და ჰერმეტიკოსი, „Amphitheatrum Sapientiae Aeternae"-ის ავტორი; 1606წ.) შთაგონებით დაიწერა, რომელზეც თავის მხრივ ზეგავლენა იქონია **ჯონ დი**მ (ინგლისელი მათემატიკოსი, გეოგრაფი, ასტროლოგი, იმ პერიოდის ერთერთი ყველაზე განათლებული ადამიანი). **მანისფესტში** ასევე ნახსენები იყო ის გარემოება, რომ საძმოს **პარაცელის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(**ფილიფ ფონ გოგენჰაიმი**, ცნობილი ალქიმიკოსი, ექიმი, ქრისტიანი მაგი და ოკულტისტი) ნაშრომებიც გააჩნდა.

არსებული ისტორიული ფაქტებით, როზენკროიცერების არსებობა მხოლოდ 18-ე საუკუნიდან შეიძლება დათარიღდეს. 1710 წელს პასტორი **ზიგმუნდ რიხტერი სინცერიუს რენატუსის** ფსევდონიმით, აქვეყნებს ტრაქტატს: **„პრაქტიკული თეოსოფია. ფილოსოფიური ქვის საძმოს ჭეშმარიტი და სრული მომზადება ოქროსფერ - ვარდისფერი ჯვრის ორდენიდან“** („Die warhhaffte und vollkommene Bereitung des Philosophischen Steins der Brüderschaft aus dem Orden des Gülden-und Rosen-Creutzes“).

52 სტატიისაგან შედგენილ თხზულებაში, რიხტერი წარმოგვიდგება ამ საძმოს წევრად და გვამცნობს, რომ ეს საძმო რამდენიმე ნაწილისგან შედგება, თითოში 31 ადეპტია. საძმოს „იმპერატორი“ ხელმძღვანელობს და ამ საძმოში მხოლოდ ოსტატი მასონები მიიღებიან. ამასთანავე, 19-ე საუკუნეში ინგლისის როზენკროიცერთა საზოგადოების (**S.R.I.A.**-Societas Rosicruciana in Anglia) ხელმძღვანელი, **უინ უესკოტი** (რომელიც **„ოქროს განთიადის“** ორდენის დამფუძნებელია) ამტკიცებდა, რომ რიხტერი მართლაც იყო როზენკროიცერული საძმოს ხელმძღვანელი. S.R.I.A პარამასონური ორგანიზაციაა, დაფუძნებული რეგულარული მასონური ლოჟის მიერ, როგორც უმაღლესი ხარისხების სისტემა (შოტლანდიური წესი), რომელიც პირველად მასონურ სისტემაში **ჟან-ბატისტ ვილერმოზის** მიერ იქნა ინტეგრირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17-ე საუკუნის დასაწყისში ხსენებულმა მანიფესტებმა დიდი ღელვა და მითქმამოთქმა გამოიწვია ევროპაში, რადგან ისინი აცხადებდნენ **ალქიმიკოსთა** და **ბრძენთა** საიდუმლო საძმოს არსებობის შესახებ, რომელიც ემზადებოდა ევროპის ხელოვნების, მეცნიერების და რელიგიის შეცვლასა და განვითარებას. 1614-1620 წლებში 400-დე ხელნაწერი იქნა გადაწერილი და გავრცელებული, რაც იმ პერიოდის, პოლიტიკური და რელიგიური ომებით გაკონტრებული და დაუძლურებული ევროპისთვის, საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო.

როზენკროიცერული ფურორის პიკი 1622 წელი აღმოჩნდა, როდესაც პარიზის შენობების კედლებზე მიმდევრობით 2 პლაკატიაფიშა გამოჩნდა. ერთზე ეწერა: **„ჩვენ, ვარდისა და ჯვრის უმაღლესი კოლეგიის წარმომადგენლები, ნამდვილად ვიმყოფებით, ღიად და უხილავად ამ ქალაქში...“** და მეორე კი სრულდებოდა ამ სიტყვებით: **„ფიქრები ჭეშმარიტი მაძიებლის სურვილთან არის, რომლებიც ჩვენ მასთან მიგვიყვანს და მას კი ჩვენთან მოიყვანს“**.

ეს მოვლენა გახდა მრავალი შრომის საფუძველი, მათ შორის ისეთი გამოჩენილი სწავლულთა და ავტორთა, როგორიც იყვნენ **მაიკლ მეიერი, რობერტ ფლადა, ელიას ეშმოლი, თეოფიდუ შვეიგჰარტ კონსტანინე, გოთჰარდუს არტუზიუსი, იულიუს სპერბერი, ხენრიკუს მადატანუსი, გაბრიელ ნაუდე, თომას ვაუგანი** და სხვა. ყველაზე ცნობილი ტრაქტატები, რომლებმაც როზენკროიცერული ზეგავლენა განიცადეს:

- **Theatrum Chimicum britannicum** (1650წ. ელიას ეშმოლი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

○ **Opus magocabalisticum et theosophicum** (გეორგ ფონ ველინგი, 1719წ),

○ **Aureum Vellus oder Goldenes Vliess** (ჰერმან ფიქტულდი, 1749წ.)

მაიკლ მეიერი იყო როზენკროიცერული აპოლოგეტი, რომელიც დეტალურად საუბრობდა „ვარდისა და ჯვრის ძმებზე" საკუთარ ნაშრომებში. ის ამტკიცებდა, ეს საძმო არსებობდა იმისათვის, რომ განევითარებინა საკრალური ხელოვნება, მეცნიერება და გონერება.

მეიერის, ისევე როგორც **ჰენრიხ კუნრატის** და სხვა როზენკროიცერების ნაშრომების შესწავლისას, არსად არ გვხდება განცხადება, რომ მათ ოქროს დამზადება შესძლეს. მათ ნაშრომებში მხოლოდ სულიერ ალქიმიაზეა საუბარი და არა ოპერატიულზე, მხოლოდ სიმბოლურზე. ამ ნაშრომებში აღწერილია ადამიანის სამფენა სხეულის და სამფენა სულის ინვოლუტიურ - ევოლუტიური ტრანსმუტაციის ცხრა სტადია, რაც სხვა ოკულტური დოქტრინების მსგავსად „ინიცირების გზას" განეკუთვნება.

1618 წლის პამფლეტში „**Pia et Utilissima Admonitio de Fratribus Rosae Crucis**", **ჰემროხ ნეუხუსი** წერს, რომ როზენკროიცერები გაემგზავრნენ აღმოსავლეთში, ევროპაში არსებული, 13 წლიანი ომით გამოწვეული, არასტაბილური გარემოს გამო. 1710 წელს ზიგმუნდ რიხტერიც ამას ადასტურებს. მეოცე საუკუნის დასაწყისში **რენე გენონი**, ოკულტიზმის მკვლევარი, ასევე ადასტურებს ამ ფაქტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19-ე საუკუნის ცნობილი ავტორი, **არტურ ედვარდ უეიტი**, მასონური ორდენის ისტორიკოსი და მარტინისტი, წარმოადგენს საკუთარი არგუმენტები იმისა, რომ როზენ-კროიცერები არ წასულან ევროპიდან და ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ბევრი ნეო-როზენკროიცერული საზო-გადოება აღმოცენდა ევროპაში. ისინი იმ ოკულტურ ტრადიციებზე იყვნენ დაფუძნებულნი, რაც „ზეუხილავთა" (**Supèrieur Inconnu**) ან „უხილავთა კოლეგიისაგან" მოდიოდა

16-ე - 17-ე საუკუნეების ლიტერატურაში მრავლად გვხდება როზენკროიცერული სამმოს პირდაპირი და მინიშნებით ხსენება. მაგ. 1638 წლის **ჰენრი ადამსონის** „მუზების ტირილში", შეგხვდებათ პასაჟი:

„ჩვენ წარმოვადგენთ დიდ აჯანყებას, ჩვენ - ძმები ვარდისა და ჯვრისა,

გვაქვს მასონური სიტყვა და მეორე ხატება, და ჩვენ სწორად ვწინასწარმეტყველებთ მომავალს!"

ჟან-პიერ ბაირდის მიხედვით, 18-ე საუკუნის ბოლოს ორი მასონურ-როზენკროიცერული წესდება შეიქმნა. ერთი, რექტიფიცირებული შოტლანდიური წესდება, გავრცელე-ბული იყო ცენტრალურ ევროპაში, სადაც უფრო აქტიურად იყო წარმოდგენილი **„ოქროს და ვარდის ჯვარი"**, მეორე, ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდება, რომელიც საფრანგეთში განვითარდა და რომლის მეთვრამეტე საფე-ხურს ეწოდება „ვარდისა და ჯვრის რაინდი".

რიხტერის მიერ პრაღაში დაარსებული „ოქროსა და ვარდის ჯვარი" ნელ-ნელა ძლიერდებოდა, იძენდა საიდუმლო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურული ორდენის თვისებებს, 1767-77 წლებში **ჰერმან ფიქტულდის** ხელმღვანელობით საზოგადოება მნიშვნელოვნად რეფორმირდება და განაცხადა კიდეც, რომ სწორედ როზენკროიცერებმა „შექმნეს" მასონები და მხოლოდ მათ იციან მასონების საიდუმლო სიმბოლოთა მნიშვნელობა.

ამავე ლეგენდით როზენკროიცერული ორდენი დაფუძნდა ეგვიპტელი ბრძენის **ორმუზის** (Ormusse) მიმდევრების მიერ, რომლებიც გადავიდნენ საცხოვრებლად შოტლანდიაში, მათ **„მშენებლები აღმოსავლეთიდან"** ეწოდებოდათ.

როზენკროიცერების ზეგავლენის ქვეშ ბევრი მასონური ლოჟა მოექცა, მაგ. გერმანიის დიდი ლოჟა სამი გლობუსი (ან *სამი სახელმწიფოსაკენ* - **Zu den drei Weltkugeln**), რომელსაც **იოჰან კრისტოფ ფონ ველნერი** და გენერალი **იოჰან რუდოლფ ფონ ბიშოფვერდერი** ხელმძღვანელობდნენ.

ბევრი სხვა ცნობილი მასონი გახდა როზენკროიცერი, თუმცა ბევრი მცდელობის მიუხედავად (მაგ. **ვილჰელმსბადენის კონვენტი**) ყველა მასონური ლოჟა როზენკრეიცერულ დამოკიდებულებაში არ მოექცა. "ოქროსა და ვარდის ჯვრის" ორდენის მისტერიებზე დაყრდნობით, **მარკონი დე ნეგრემ** და მამამისმა **გაბრიელ მარკონიმ** დააფუძნეს **მემფისის წესდება**, რომელიც ადრეულ **ალქიმიურ** და **ჰერმეტიკულ** სწავლებებით ხელმძღვანელობდნენ.

არის კიდევ რამდენიმე ლეგენდა, თუ სად, როდის და რა ვითარებაში დაფუძნდა ვარდისა და ჯვრის ორდენი. მაგ. 1530 წლიდან მოყოლებული (ანუ 80 წლით ადრე პირველ მანიფესტამდე) პორტუგალიაში, **ქრისტეს ორდენის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ტამრელთა სამართალმემკვიდრე ორდენი პორტუგალიის ტერიტორიაზე, 14-ე საუკუნიდან) მონასტერში (**კონვენტუ დე-კრიშტუ**), თქვენ დღესაც იხილავთ ვარდისა და ჯვრის საზოგადოების *ინიცირების ოთახებს.* ამ ოთახებში მკაფიოდ ჩანს ჯვარი, რომლის ცენტრში ვარდია გამოსახული.

ან მაგ. *პარაცელისის* შრომაში „**Prognosticatio Eximii Doctoris Paracelsi**", რომელიც **1530 წლით** თარიღდება და 32 ალეგორიულ წინასწარმეტყველებასთან ერთად, რომელიც მაღალი ხარისხის ილუსტრაციებით არის წარმოდგენილი, იხილავთ ორმაგ ჯვარს ვარდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1891 წელს **პაპიუსი** აყალიბებს **l'Ordre des Superieurs Inconnus**, რომელმაც მოგვიანებით **მარტინისტთა** ორდენით მოიხვეჭა სახელი. ეს ორდენი, იმ დროს უკვე მივიწყებულ **კოენის რჩეულთა** (Elus-Cohens) წესდებას და **სენ მარ-ტენის** მემკვიდრეობას დაეყრდნო, მასში ინიცირების სამი ხარისხი იყო.

ბევრი საზოგადოება და გაერთიანება ბაძავდა როზენკროიცერებს. ეს მრავალი ორგანიზაცია, საძმო, საზოგადოება და ჯგუფი შეიძლება სამი ძირითად კატეგორიად დავყოთ: ეზოთერიკულ-ქრისტიანული, მასონურ-როზენკროიცერული საზოგადოებები და ინიცირებაზე, მისტიციზმე დაფუძნებული საზოგადოებები, მაგალითად **Ancient Mystical Order Rosae Crucis**.

ეზოთერიკულ-ქრისტიანულ როზენკროიცერულ საზოგადოებებს გააჩნიათ ის ეზოთერიკული ცოდნა, რომელიც ქრისტიანობის შიდა სწავლებასთან არის დაკავშირებული. ასეთი საზოგადოებებია:

- როზენკროიცერული საძმო - 1908-11წწ
- ანთროპოსოფიური საზოგადოება - 1912წ
- Lectorium Rosicrucianum – 1924წ
- არხესოფიური საზოგადოება - 1968წ

ფრანკმასონურ როზენროიცერული განათლება სიმბოლურ (ინიცირებაში მოგზაურობაზე) ან პირდაპირი სწავლების მეთოდზეა დაფუძნებული. ამ მხრივ, ფრანგული და შოტლანდიური წესდებებია ცნობილი. ასეთი მასონური როზენკროიცერული საზოგადოებებია:

- Societas Rosicruciana in Anglia, (ინგლისი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

- Societas Rosicruciana in Scotia (SRIS; შოტლნადია),
- Societas Rosicruciana in Civitatibus Foederatis (MSRICF/SRICF; აშშ)

ინიცირებაზე და მისტიციზმე დაფუძნებული საზოგადოებებია:

- The Rosicrucian Order, AMORC, - 1915წ
- Rosicrucian Order of the Golden Dawn (ოქროს განთიადი)

ბევრი საზოფადოება დაფუძნდა როზენკროიცერული სწავლების და ცოდნის შესასწავლათ და გასაგრძელებლად. უმეტესობა, რა თქმა უნდა, იჩემებს პირდაპირ კავშირს და მემკვიდრეობას უძველეს ორდენთან.

აქ რამდენიმე ყველაზე ძველ და გავლენიან როზენკროიცერულ საზოგადოებას ჩამოგითვლით:

- ვარდისა და ჯვრის საძმო; Fraternitas Rosae Crucis, 1861
- ინგლისის როზენკროიცერული საზოგადოება (SRIA). 1860—1865
- აშშ-ის როზენკროიცერული საზოგადოება; (SRICF)1879
- ვარდისა და ჯვრის კაბალისტური ორდენი; Cabalistic Order of the Rosicrucian, 1888
- Builders of the Adytum, 1888
- ოქროს განთიადის ჰერმეტიკული ორდენი; Hermetic Order of the Golden Dawn, 1888
- ვარდის ჯვრის ორდენი; Rose Cross Order 1889.
- ტაძრისა და გრაალის კათოლიკური (მსოფლიო) ვარდისა და ჯვრის ორდენი; l'Ordre de la Rose Croix Catholique et Esthetique, du Temple et du Graal), 1890

- ვარდისა და ჯვრის ალქიმიური საზოგადოება (საფრან-გეთის ალქიმიური საზოგადოება), Alchemical Rose-Croix Society (Association Alchimique de France), 1896
- Rose-Croix de l'Orient
- Order of the Temple of the Rosy Cross, 1912
- Corona Fellowship of Rosicrucians, 1912
- ვარდის ჯვრის ძველი მისტიური ორდენი, 1915
- Fraternitas Rosæ Crucis (FRC), 1920
- წმ. პავლეს როზენკროიცერული საძმო; Fraternidade Rosacruciana São Paulo, 1929
- Knights of the Militia Crucifera Evangelica

თავი VII. დიალოგი პროფანთან ანუ კითხვა - პასუხი

✓ **არის თუ არა მასონობა მსოფლიო ორგანიზაცია?**

დიახ და თან არა. დიახ, იმიტომ რომ 5 მილიონი მასონია მსოფლიოს მასშტაბით, და მიუხედავად რიგი განსხვავე-ბებისა, რეგულარულ მასონობაში, მაინც საერთო კონსტიტუ-ციითა და წესებით ცხოვრობენ. არა, იმიტომ რომ არ არსე-ბობს ცენტრალიზებული ხელისუფლება, სტრუქტურა, ინ-დივითა ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ამ ორდენს.

✓ **როგორ არის განაწილებული გეოგრაფიულად მასონური იურისდიქციები?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 მილიონი მასონიდან, 3 მილიონამდე აშშ-შია, 1 მილიონი ევროპაში, დანარჩენი კი მსოფლიოს დანარჩენ კონტინენტებზე.

✓ მიისწრაფის თუ არა მასონობა მსოფლიო ძალაუფლებისაკენ?

როგორც ორდენი, მასონობა არ მიისწრაფის არანაირი მსოფლიო ძალაუფლებისაკენ და მცირე ერების დამონებაგახრწნისაკენ, რასაც უმეცრები აბრალებენ ჩვენს საძმოს! მცირე ერებია ლუქსემბურგი, ბაჰრეინი, კატარი, ლიხტენშტეინი, მონაკო, ა.შ. მაგრამ აყვავებულები არიან. მასონები იქ არიან თუ არიან.

✓ მოიცავს თუ არა მასონური რიტუალები სატანისტურ ელემენტებს?

რიგი მასონური რიტუალი ბიბლიურ სიუჟეტებზეა დაფუძნებული, აბსურდია მასონურ რიტუალებში რაიმე სატანურ ელემენტებზე საუბარი.

✓ რა კრიტერიუმებით იღებენ მასონებში?

კანდიდატი უნდა იყოს მამაკაცი, 21 წლის, არ უნდა იყოს დამძიმებული ვალებით, არ უნდა იყოს ნასამართლევი სისხლის სამართლის დანაშაულზე, უნდა გააჩნდეს მაღალი ზნეობა, ინტელექტი, საკუთარი თავის განვითარების სურვილი, შემქმნელის არსებობის და სულის უკვდავების რწმენა, შესაბამისი რეკომენდაციები და მოტივაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

✓ **რა არის კენჭისყრის შავი ქვა?**

თუ კანდიდატის მიღებასთან დაკავშირებით მიმდინარე კენჭისყრის დროს, ერთმა ძმამ (ლოჟის წევრმა) მაინც ჩააგდო შავი ქვა, რომელიც კანდიდატის მიღებაზე უარის ნიშანია, მაშინ კანდიდატს არ იღებენ ლოჟაში.

✓ **როგორ გავხდეთ მასონი?**

ჯერ დაფიქრდით, რისთვის გინდათ ორდენის წევრობა. დიდ ძალაუფლებას და დამატებით ფინანსებს ეს არ მოგიტანთ. ჩამოყალიბდით, წაიკითხეთ და გარკვეული აზრი შეიქმენით მასონურ ფილოსოფიაზე და მორალზე, მერე განცხადებით მიმართეთ ლოჟას, თუ პირადად არ იცნობთ მასონს. დანარჩენს ლოჟაში აგიხსნიან.

✓ **არის თუ არა სხვაობა იურისდიქციებს შორის?**

დიახ არის, როგორც ერთი ქვეყნის სხვადასხვა მოქალაქის ოჯახია განსხვავებული, ასევე ერთიანი მასონური ორდენიც არის დაყოფილი იურისდიქციებად, რომლებსაც შესაძლოა განსხვავებული დეტალები, ნიუანსები და რიტუალები ჰქონდეთ. არსებობს საერთო ნიშნები, რომელიც ყველასთვის აუცილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✓ **გვეშინოდეს თუ გვიხაროდეს მასონური ლოჟის გახსნა საქართველოში?**

არც ერთი და არც მეორე, ეს არის საქმო, რომელიც საკუთარი თავის განვითარებაზე და გარშემომყოფთა კეთილდღეობაზე ფიქრობს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ვინ არიან იორკის წესდების მასონები?

იროკული წესდება, ეს არის ლურჯი ლოჟის ერთ-ერთი შემდგომი განვითარების ეტაპი - წესი, რომელიც ღიაა მხოლოდ ქრისტიანებისათვის, დაფუძნებულია ბიბლიურ რიტუალებსა და ალეგორიებზე, მისი უმაღლესი საფეხურია ტაძრის რაინდთა ორდენი.

✓ **ვინ არიან შოტლანდიური წესით მოღვაწე მასონები?**

ლურჯი ლოჟის შემდგომ მასონებს შეუძლიათ გააგრძელონ განვითარება დამატებით 29 საფეხურზე, რაც ჯამში 32 საფეხურს შეადგენს, 33-ე ხარისხი სიმბოლურია. შოტლანდიურ წესში მასონებს ეძლევათ მეტი საშუალება შეისწავლონ სპირიტული, ეზოთერული და კაბალისტიკური მისტერიები, ლიბერალური მეცნიერებები და მეტი დრო დაუთმონ მისტიციზმს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

accusare nemo se debet nisi coram Deo

მოგზაურობა საკმაოდ საინტერესოა, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეძებ "რაღაცას" და პოულობ...

სუსხიანი დილა იდგა, როდესაც ერთ–ერთ კარზე დავრეკე. დარბაისელმა ქალბატონმა ღიმილით გაგვიღო და ქართველი ემისარები შინ შეგვიპატიჟა, ბინიდან კი სასიამოვნო ყავის სურნელი გამოვარდა. შესასვლელში მისი მეუღლე, ერთ–ერთი ევროპული იურისდიქციის ყოფილი დიდი ოსტატი დაგვხვდა, რომელიც საქართველოს დიდი გულშემატკივარი აღმოჩნდა.

ატმოსფერო ისეთი თბილი და უცნაურად შინაურული დაგვხვდა, რომ სუსხიანი დილაც და ჩვენი ნერვიულობაც სადღაც გაქრა და თავი ძველ და კეთილ მეგობართან ვიგრძენით.

უაღრესად საინტერესო ოჯახური კოლექცია გვაჩვენა. მეხუთე თაობა თავისუფალი კალატოზი, რომლის დიდი ბაბუის მამა ამ ქვეყანაში პირველი ლოჟის დამფუძნებელი იყო, გვიყვებოდა ოჯახის ისტორიას და თან ჩვეული სიდინჯით გვიჩვენებდა უნიკალურ ნივთებს. განსაკუთრებით ჩვენი ყურადღება 1716 წლის ბიბლიამ მიიქცია, ამავე პერიოდის საათმა და რაინდულმა ხმალმა...

ძირითადი სიამოვნება წინ გველოდა. საუბარი, რომელიც ალბათ ცხოვრებაში ხშირი არ არის! დინჯი, საინტერესო და გულწრფელი. ადამიანთან ურთიერთობა გაძლევს საშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას იმსჯელო, თუ რა ცხოვრება გაიარა მან და რას აკეთებდა იმისთვის, რომ განევითარებინა საკუთარი თავი და მისი გარშემომყოფნი. ჩვენ ნამდვილად "განვვითარდით" ამ სამი საათის განმავლობაში...

ეხლა უფრო და უფრო ვრწმუნდები – თავისუფალ კალატოზთა ერთობა არის მხოლოდ იმ მამაკაცებისთვის, ვისაც თავისუფლების, ღირსების და სიკეთის შეგრძნება აქვთ. ეს არის მორალის და ეთიკის, კულტურის და განათლების თანხვედრა, ასეთ ადამიანთა ერთობა ქმნის ლოჟას, რომელიც ნამდვილად თავისი ერის ღირსების მატარებელია.

იფიქრებთ, რას ამბობს უყურეთ ერთი სოლომონიო... შეაქებს "თავისიანებს" აბა რას იზამსო..!

არა, არ ვაქებ, უბრალოდ კიდევ და კიდევ ვრწმუნდები, რომ **მოცარტი, ლისტი, პუშკინი, მონტესკიე, გოეთე, ლესინგი, კონან დოილი, კიპლინგი** და სხვა ბევრი მარგალიტი კაცობრიობის ისტორიიდან, "შემთხვევით" არ ერთიანდებოდა ერთ საძმოში და შეიძლება ითქვას ნელ–ნელა ვხვდები, რატომაც.

გზა სინათლისკენ გრძელია, იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი შეხვედრები კიდევ მრავლად იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I. ლეგენდა ბაფომეტზე

თვითონ სახელი **„ბაფომეტი“** წარმოიშვა სახელ "**მუჰამედი-**საგან“, შუასაუკუნეების პერიოდში. ბაფომეტი არ არის მასონური „პერსონაჟი“, არცერთი მასონი მას არ "ეთაყვანება". შუასაუკუნეებში „ბაფომეტთან კავშირი“ გამოიყენებოდა ინკვიზიციის ბრალდებად, სხვადასხვა სასამართლო პროცესზე. მაგ. ტაძრელების შემთხვევაში ბრალდებელმა განაცხადა, რომ ბაფომეტი იყო დემონი, რომლის ვითომდა მცირე ზომის სკულპტურა იპოვეს ტაძრელებმა იერუსალიმში და მას შემდგომ ეთაყვანებოდნენ. მსგავსი ბრალდებები მოგვიანებითაც ხშირად ისმოდა, სხვა "საშიშ და არამორჩილ" ინდივიდების, თუ ორგანიზაციების საინკვიზიციო სასამართლო პროცესებზე. ტაძრელთა დაპატიმრების ორდერში "ბაფომეტის" ხსენებაც არ იყო! **არანაირი დოკუმენტური თუ სხვა მტკიცებულება არ არსებობს** იმისა, რომ ტაძრელები იყენებდნენ რაიმე კერპს ან თუნდაც პენტაგრამას - ხუთ ქიმიან ვარსკვლავს, როგორც „თაყვანისცემის“ ობიექტს! საინტერესოა, რომ ბაფომეტს (მის გამოსახულებას) არანაირი კავშირი არ აქვს არც პენტაგრამასთან (რომელიც რამდენიმე ათასწლეულით ადრე არსებობდა, ტრადიციული რელიგიების გაჩენამდე) და არც **მენდესის თხასთან**. ეს სახელი პირველად 12-ე საუკუნეში საფრანგეთში "გამოჩდა" და რაც ყველაზე საინტერესოა, მისი "გამოსახულება" - **მხოლოდ 1855 წელს! ანტონ ჟდანოვ ლავაიემ** და მისმა სატანისტურმა სექტამ პენტაგრამა, როგორც სატანისტური "ლოგო" 1966 წელს მიიღო, ისევე როგორც მენდესის თხის გამოსახულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიფას ლევის 1855 წელს თეორია ეკუთვნის მხოლოდ **მას**, ელიფას ლევის! იგი აკავშირებს ძველ ეგვიპტურ ღმერთს (თხის გამოსახულებით), ხუთქიამიან ვარსკვლავთან და სწორედ მასზე საუბრობს როგორც ბაფომეტზე. მოგვიანებით, ალბერტ პაიკი, მოექცა ლევის გავლენის ქვეშ და ასევე აკავშირებდა ამ ორ სიმბოლოს ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს სხვა დასკვნებამდე მივიდა. რაც ეხება ბაფომეტის მასონებთან "მიწებებას", ეს ყველაფერი **ლეო ტაქსილის** მოღვაწეობის შედეგია. ლეგენდა, რომელიც შეთხზა ტაქსილმა, "გალამაზდა", შეიძინა დამატებითი საფრთხობელა მომენტები და ასე მოვიდა დღევანდელ დღემდე. მაგრამ, როგორი იყო რეალური ისტორია? რატომ და რისთვის გადაწყვიტა ლეო ტაქსილმა მასონებზე შურისძიება და მსგავსი უტოპიური ბრალდების შეთხვზა? ლეო ტაქსილი დაიბადა ქალაქ მარსელში, საფრანგეთში, **1854** წლის 21 მარტს და მიბარებული იქნა იეზუიტთა ორდენის წარმომადგენლებს აღსაზრდელად. მისი ნამდვილი სახელი **მარიჟოზეფ გაბრიელ ანტუან იოგანდ პაჟე** იყო, რომლის შეცვლა დაკავშირებული იყო მის შავბნელ ფინანსურ მაქინაციებთან, რის გამოც მას მოუწია საფრანგეთიდან შვეიცარიაში გადაპარვა. იქაც მრავალი ფინანსური თაღლითობისათვის ძებნილმა ისევ საფრანგეთში დაბრუნდა (ამნისტიით,1879წ). ის გამოირჩეოდა სასტიკი ანტი-ეკლესიურობით და განსაკუთრებით ანტიკათოლიკური განწყობით, მან რამოდენი პუბლიკაციაც გამოუშვა მიმართული კათოლიკური ეკელსის წინააღმდეგ. გამოირჩეოდა განსაკუთრებულად ბინძური ხუმრობების კრებულით კათოლიკური ეკლესიის მესვეურებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ იმედით, რომ ამ საქმეში მას მასონები დაეხმარებოდნენ ლეო ტაქსელი წევრიანდება მასონურ ლოჟაში (lodge Le Temple de L'Honneur Français), პარიზში, 1881 წელს. მისი გეგმების და მიზნების გამოაშკარავების შემდგომ იგი გაირიცხა ამ ლოჟიდან პირველივე საფეხურზე. ლეო ტაქსელი თვლიდა (არსებობს კონკრეტული მიმოწერაც), რომ მისი ანტი - კათოლიკური გამოსვლები და გამოცემები, მას პოპულარობას და ფინანსურ მოგებას ვერ მოუტანდა და იგი ახალი სამიზნის ძიებაში, განაწყენებული მასონურ ლოჟაზე, რომელმაც "მას ვერ გაუგო" გადაწყვიტა ახალი პუბლიკაციით მოეხვეჭა სახელი და ფინანსები. 1885 წლიდან, მან რამდენიმე ანტი-მასონური გამოცემაპუბლიკაცია გამოსცა (მაგ. "The Three-point Brothers"; "The Anti-Christ" და "the Origin of masonry"; ასევე "The Cult of the Great Architect"; "Pius IX, Freemason?" და ბინძური წიგნი "The masonic Assassins").

ის საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა ალბერტ პაიკის ფსევდო გამოცემებს (ანუ გამოცემებს, რომელიც რეალურად ალბერტ პაიკს არც ეკუთვნოდა) და ამონარიდებს, კონტექსტიდან ამოგლეჯილ ტექსტებს, იმისათვის, რომ ხალხი დაერწმუნებინა მის სიმართლეში, თუმცა თვითონ არც ახმაურებდა, რომ ის გამორიცხეს მასონური ლოჟიდან. ამ პუბლიკაციებმა, ნელ-ნელა მისდამი საზოგადოებრივი

მასონური საიდუმლოს ფესვები - სინათლის ძიებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესი გამოაღვიძა.1897 წელს მან საჯარო შეხვედრა მოაწყო პარიზში ჟურნალისტებთან. ამავე შეხვედრას ესწრებოდა კათოლიკური ეკლესიის ყველა მაღალჩინოსანი.

ტაქსილის შოუს სარეკლამო პლაკატები

ლეომ პირდაპირ განაცხადა, რომ იცრუა და ყველაფერი რაც ეხებოდა მასონების დემონებისადმი თაყვანისცემას, იყო მისი აზროვნების ნაყოფი. მეორე დღეს, ყველა წამყვანმა გაზეთმა გამოაქვეყნა მისი 33 გვერდიანი გამოსვლა.

მიღებული "სიამოვნების" შემდეგ (ყველა რომ გაასულელა), ლეო სოფელში გადაბარგდა და წყნარად, მშვიდად იცხოვრა გარდაცვალებამდე (1907წ). სამწუხაროდ, მიუხედავად მისი აღიარებისა და ყველა მისი მითის დენონსიაციის, ყველა ანტი-მასონი მწერალი სწორედ მის წიგნებს და სიმბოლიკის ახსნას ეყრდნობა, ისევე როგორც **აბატ აუგუსტინ ბაროლის** და გრაფ **ჯუზეფე კალიოსტროს** ნაშრომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II. ილუმინატების საზოგადოება

ილუმინატების საზოგადოება ჩამოყალიბდა ბავარიაში 1776 წლის 1 მაისს, მისი მამამთავარი იყო **ადამ ვაისჰაუპტი**. ილუმინატების ორდენი აქტიურად უწევდა პოპულარიზაციას **დეიზმს** და ბევრი პრინციპი „გადმოიღო" მასონური ორდენიდან. განსხვავებით მასონებისგან ამტკიცებდა, რომ ადამიანი როგორც ესეთი ცუდი არ არის, მაგრამ მასზე უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო და რელიგია. თვითონ ვაისჰაუპტი იეზუიტი იყო, და „ილუმინატების ორდენი" აქტიურ ანტიკათოლიკურ კამპანიას ეწეოდა.

ორდენის დაფუძნებიდან წელიწად ნახევრის მერე, როდესაც ვაისჰაუპტმა ამოწურა „ადამიანური რესურსების" მოზიდვის სქემა (მან, როგორც **ინგოლშტატის უნივერსიტეტის** პროფესორმა, თავის ორდენში ამავე უნივერსიტეტის ყველა პროფესორი, გარდა ორისა, გააერთიანა), იგი წევრიანდება მიუნხენის მასონურ ლოჟაში, საიდანაც (მოგვიანებით კი სხვა ლოჟებიდანაც) **ბარონ ფონ ცვაკის** დახმარებით, საკმაოდ ბევრი მასონი „გადმოქაჩა" მის „ილუმინატების ორდენში". მოგვიანებით მასონურმა ლოჟამ გაკიცხა ეს ორდენი და ყველა მისი წევრი, ვინაიდან ორდენის წევრები ამორალურ და არაღირსეულ ქმედებებს სჩადიოდნენ, როგორიც იყო ქურდობა, მოტყუება (აფიორები), გარყვნილება (თვითონ ვაისჰაუპტს საკუთარ ბიძაშვილთან ჰქონდა კავშირი, რის შედეგადაც ეს ქალწული დაორსულდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორდენი ძლიერდებოდა, თუმცა, 1784 წელს გაღვივდა კონფლიქტი ხელმძღვანელობაში, კონკრეტულად კი ბარონ ფონ კნიგესა და ვაისჰაუპტს შორის.

ბარონი იყო ვაისჰაუპტის მარჯვენა ხელი და დიდი წვლილი მიუძღვოდა ორდენის გაძლიერებაში. ამავე წელს ბარონი ტოვებს ორდენს და მის წინააღმდეგ იწყებს გამოსვლებს. ამის ფონზე, 1787 წელს ბავარიის ხელისუფლება აცხადებს ბრძოლას ორდენის წინააღმდეგ, აცხადებს მას კანონგარეშე და მასში გაწევრიანების მსურველებს თავის მოკვეთით ემუქრება. რამდენიმე დაპატიმრებისა და დარბევის შემდგომ, ორდენი კარგავს საკუთარ სიძლიერეს და იშლება. რა თქმა უნდა მტკიცებულება იმისა, რომ ორდენი სრულად დაიშალა და არ წავიდა იატაკქვეშეთში არ არის.



1830 წელს ვაისჰაუპტი გარდაიცვალა ემიგრაციაში. 1896 წელს ორდენი აღდგა დრეზდენში, დღეს კი არსებობს რამდენიმე განშტოება, რომელიც იბრალებს, რომ „მარტო ის და მხოლოდ ის“ წარმოადგენს ვაისჰაუპტის მიერ დაფუძნებული ორდენის სამართალმემკვიდრეს. ორდენმა გადმოიღო მასონური იერარქიაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი ტრადიციები და რიტუალებიც. ორდენის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი **არეოპაგი** იყო. ყველა ინიცირებულ წევრს ქონდა საკუთარი ფსევდონიმი, მაგალითად ვაისჰაუპტი იყო „**სპარტაკი**". ორდენს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ყავდა წარმომადგენელი, თუმცა საერთო რაოდენობა ორი ათას წევრზე მეტი არასოდეს ყოფილა.



თავი III. გლობალიზაცია

ბოლო პერიოდში, ხშირად მესმის კალკირებული, მსგავსი შინაარსის საუბრები დასავლური გლობალური მსოფლიოს საწინააღმდეგოდ. ტექსტი გეგონება ან დაზეპირებულია საიდანღაც ან ვინმე კონკრეტულად ცდილობს გარკვეული შეხედულებების დანერგვას ამ და სხვა რამდენიმე საკითხის ირგვლივ.

ამ ანტი-გლობალისტური რიტორიკის ძირითადი პოსტულატებია:

მასონური საიდუმლოს ფესვები - სინათლის ძიებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) გლობალიზაცია არის მცირე ერების "გარყვნა" და მათი სახელმწიფო თვითმყოფადობის განადგურება;

2) გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის ფიზიკური თუ ვირტუალური საზღვრების წაშლა და მათი "გაერთიანება" ერთ სახელმწიფოდ.

3) გლობალიზაცია არის გარკვეული ძალების მიერ ინსპირირებული პროცესი მსოფლიოზე გაბატონობის მიზნით.

შევეცდები მოკლედ განვიხილო ეს საკითხები: **გლობალიზაცია,** თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის დრამატული ზრდით. ის ასევე ასახავს ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას ბარიერთა რღვევისა და ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულიბის ზრდის შედეგად. სპეციფიურად ეკონომიკურ კონტექსტში ის ხშირად იგულისხმება როგორც ვაჭრობის პირდაპირი შედეგი, განსაკუთრებით, სავაჭრო ლიბერალიზაციის ანუ „თავისუფალი ვაჭრობის“ შედეგი.

ამის გარდა, გლობალიზაცია დღეს თავისთავში გულისხმობს კოსმოპოლიტიზმს, სახელმწიფოთა შორის კულტურულ და ეთნოგრაფიულ ურთიერთგაცვლას, თავისუფალ გადაადგილებას ღია საზღვრების პირობებში და რაც მთავარია პლანეტისთვის მნიშვნელოვანი და საერთო პრობლემების გადაჭრას და საერთო მიზნების განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალობაში გლობალიზაცია ამარტივებს და აჯანსაღებს არა მარტო ეკონომიკასა და ბიზნესს, არამედ ადამიანების შორის ურთიერთობებს, თავისუფალ მიმოსვლას, გადაადგილებას და იდეების გაცვლას უწყობს ხელს.

მცირე ერებს არავინ არ რყვნის, თუ თვითონ ამ ერებს არ სურთ რომ გაირყვნან! ჩემის აზრით, გლობალიზაცია, პირიქით, არის ყველა ერის თვითმყოფადობის გამტკიცებისა და გააზრების მექანიზმი. ვინ როგორ და რა კუთხით და შესაძლებლობებით გამოჩნდება მსოფლიო ერთიან სივრცეში, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული. შეიძლება იარსებოს როგორც ნაციონალურმა მთავრობამ, პარლამენტმა და სასამართლომ, ასევე გლობალურმაც, სადაც კოლექტიური დისკუსიის საფუძველზე იქნება მიღებული გადაწყვეტილებები საერთო პრობლემებზე და მომავალზე. გლობალური, მსოფლიო თანადგომა, მხარდაჭერა და ურთიერთგანვითარება, მშვიდობის, სოლიდარობის, თვითმყოფადობის და ერთიანი პრობლემების გადაჭრის საშუალებაა.

ანტი-გლობალისტები ორ ჯგუფად იყოფიან - 1) ეკონომიკური გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი, რომლებიც შიშობენ სამუშაო ადგილების დაკარგვას და 2) რელიგიური ანტი-გლობალისტები, რომლებიც რეალურად მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში შეიმჩნევიან.

არიან ძმები, რომლებიც გლობალიზაციის მოწინააღმდეგენიც არიან, ამ საკითხზე ყველას ინდივიდუალური შეხედულება აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV. მასონები და რელიგია

hic manebimus optime!

მოდით შევთანხმდეთ შემდეგზე - მასონობა არ არის რელიგია და არც არასოდეს ჰქონდა და ექნება მსგავსი პრეტენზია! მასონობა არის მამაკაცების საძმო, რომელსაც გააჩნია საკუთარი მორალური პრინციპები და ეფუძნება ალეგორიულ და სიმბოლურ რიტუალებს, მუშაობს საკუთარი თავისა და გარშემომყოფთა გასაუმჯობესებლად. შეკითხვაზე, თუ რატომ ეწინააღმდეგება ძირითადი რელიგიური ინსტიტუტები მასონურ გილდიებს (სხვადასხვა ფორმით და გამოვლენით), პასუხი შეიძლება ვიპოვოთ შემდეგ ახსნაში: **ფაქტობრივად ანტიმასონური კამპანია კათოლიკურმა ეკლესიამ წამოიწყო** შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, რომელსაც მოგვიანებით ევროპის სხვადასხვა მეფე და დიდებული ამოუდგა მხარში. იმ პერიოდში, ყოველივე რაც ეკლესიისა ან მონარქიის საპირისპიროს ამტკიცებდა, ითვლებოდა დანაშაულად და იყო დასჯადი. გავიხსენოთ თუნდაც ინკვიზიცია, რომელიც უმოწყალოდ უსწორდებოდა მეცნიერებს, ქალბატონებს, მოაზროვნე საზოგადოებას. **გალილეოს და ნიუტონის** ამბები და მათ წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები ყველასთვის ცნობილია! შესაბამისად, ამავე პერიოდში ყველა ეს ადამიანი ერთიანდებოდა საძმოში, მალავდა საკუთარ წევრობას და იკრიბებოდა ფარულად, საკუთარი აზრების გასაცვლელად და სამსჯელოდ. მასონობა არ არის რელიგია, არ არის პოლიტიკური გაერთიანება, იგი მხოლოდ აერთიანებს იმ მამაკაცებს, რომლებსაც სურთ რიტუალურ სიმბოლიზმზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყრდნობით შექმნან უკეთესი კარგისგან, გააკეთილ-შობილონ ადამიანის სული და მოუტანონ სიკეთე მათ გარშემომყოფთ. მასონობის კანდიდატის მიმართ უმთავრესი მოთხოვნაა მისი რწმენა უმაღლეს არსების, ღმერთის რწმენა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი (ეკლესიის წარსული რიტორიკიდან გამომდინარე) აკრიტიკებს სწორედ ამ ცნებას - რატომ არ არის დაზუსტებული „თუ რომელი ღმერთი იგულისხმება". პასუხი ცალსახად ერთია - **ღმერთი, როგორც ყველაფრის შემქმნელი და სულის ჩამდგმელი, არის ერთი!** ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ საძმო მრავალ სარწმუ-ნოებრივია, ანუ მასში გაწევრიანებული მამაკაცები სხვა-დასხვა რელიგიურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ერთი უნივე-რსალური ღმერთი არის ამ ადამიანებისთვის საერთო და აღიარებული. **სამყაროს დიადი არქიტექტორი**, ასე უწოდებენ ამ უმაღლესს არსებას, ღმერთს, მასონები. სწორე-დაც, რომ ღმერთია ყოველის შემძლე და ნამდვილად დიადი არქიტექტორი, რომელმაც შექმნა სამყარო, ადამიანი და ყველაფერი ამ სამყაროში!

კათოლიკური ეკლესიისთვის მასონები წარმოადგენდნენ ინტელექტუალურ კასტას, რომელსაც თავისი ნიჭით, შემოქმედებით და ავტორიტეტით შეეძლო შუასაუკუნეებში და რენესანსის ხანაში აბსოლუტიზმის არეალში მყოფი რომის ეკლესიის ძალაუფლების შერყევა. თუნდაც იმიტომ, რომ შეეძლოთ დაესვათ შეკითხვა "რატომ", რაც უკვე იმ პერიოდში მკრეხელობა იყო, ამასთანავე კათოლიკური ეკლესია შიშობდა რომ ძმობა, თანასწორობა და თავისუფ-ლება შეარყევდა იმ წყობას, რომლის მეშვეობითაც ეს ინსტიტუცია მდიდრდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსულმანურ ქვეყნების ნაწილში მასონობა ითვლება დასავლეთის ჩანასახად და შესაბამისად ის საწყისშივე არის ანტი-ისლამური, ამასთანავე ბევრი მასონია მუსულმანი და მთავარია ის ინტელექტი რომელიც გააჩნია ადამიანს და არა მისი რელიგიური კუთვნილება.

იუდაიზმი, ინდუიზმი და ბუდიზმი მასონებისადმი შემწყნარებლურია, მათ არ გააჩნიათ არაფერი საწინააღმდეგო მასონობასთან. მაგ. ინდოეთში, მასონური ლოჟებისა და მასონების რიცხვი საკმაოდ მაღალია. გრიგორიანული ეკლესიისთვის კი, ყველაფერი რაც ემსახურება „დიდ სომხურ საქმეს" უკვე კარგია და მისასალმებელი.

აი, რაც ეხება მართლმადიდებლობას, აქ ჯერ-ჯერობით ნაწილობრივ ინერციით და ნაწილობრივ მასონებთან ურთიერთობის დეფიციტის გამო არსებობს გარკვეული გაორება და გაურკვევლობა. ეკლესიური ელიტის ნაწილი 1917 წლის რევოლუციამდე პირიქით მასონობაში ხედავდა მორალურ ეტალონს, ხოლო მეორე ნაწილი კი იყო ანტაგონისტურად განწყობილი.

კათოლიკური ეკლესიის ასეთი პოზიცია გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ვამბობთ: ყველა ადამიანი ღვთის შვილია, ყველა ღმერთის ძეა და ყველა ადამიანი ღვთის წიაღში დაბრუნდება და ზეცაში მოხვდება. კათოლიკური ეკლესია ამბობს სიტყვასიტყვით, რომ ღმერთთან მიგიყვანს მხოლოდ წმინდა რომის კათოლიკური ეკლესია. ეს ძალაუფლებაზე ეკლესიის პრეტენზიაა - მხოლოდ მას აქვს უფლება ღმერთთან ადამიანის მიყვანისა და ამიტომ მიგვიჩნევს ის ჩვენ კონკურენტად. ჩვენ არ ვართ ეკლესიის კონკურენტები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აირჩიოს თავისი რწმენა. ყოველი ადამიანი, ფერადკანიანი თუ ინდიელი, მდიდარი თუ ღარიბი, პროფესორი თუ დამხმარე მუშა, დიდი თუ პატარა, ყველა ღვთის შვილია და ეს კათოლიკურ ეკლესიას არ მოსწონს და ამიტომაც არ მოსწონს თავისუფალი მასონობა.

ლუთერანულ და პროტესტანტულ ეკლესიას საძმოს მიმართ მშვიდი დამოკიდებულება აქვს. დიდ ბრიტანეთში, სადაც ანგლიკანური ეკლესიის მეთაური ბრიტანეთის მონარქი ითვლება, ამავე დროს, სამეფო ოჯახის წარმომადგენელი, როგორც წესი, ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟის დიდ ოსტატად ირჩევა. ანგლიკანური ეკლესიის ბევრი ეპისკოპოსი მასონი იყო. მსგავსი შერეული სისტემაა შვედეთში, სადაც მეფე მეთაურობს ეკლესიას და ამავე დროს მეურვეობს შვედეთის მასონურ მოძრაობას, რომელიც თავის მხრივ ქრისტიანულ ლოჟად ითვლება.

ისეთ ისლამურ სახელმწიფოებში, როგორიც არიას მოროკო, ლიბანი და თურქეთი, კრიტიკა მასონებთან მიმართებაში ძალიან იშვიათია. მუსულმანების წინააღმდეგობა მნიშვნელოვანწილადაა დაფუძნებული ანტისემიტიზმზე და ანტისიონიზმზე, რიგ შემთხვევაში - ანტიდასავლურ განწყობაზე.

ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, როგორიც არის მაგ. ჩრდ. კორეა და ირანი, მასონობა აკრძალულია, როგორც თავისუფალი აზრისა და ლიბერალური შეხედულებების გამოვლინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, საქართველო ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის მარწუხებში იმყოფებოდა, რაც უაღრესად ნეგატიურად აისახა ქართული საზოგადოების განვითარების მრავალ ასპექტზე. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ ის შანსი რაც საქართველოს 1918 წელს მიეცა, ჩვენმა მენშევიკურმა, სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ, სათანადოდ ვერ გამოიყენა. არ მაქვს იმის ილუზია, რომ საბჭოთა კავშირი არ ან ვერ მოახდენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას, თუნდაც მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც ეს ბალტიის სახელმწიფოების მაგალითზე მოხდა, მაგრამ ის მოკლე პერიოდიც კი (მაგ. 1918 – 1943 წწ. ანუ 25 წელი) ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების, დემოკრატიული და სამოქალაქო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესში.

ქართული სამოქალაქო საზოგადოება სათანადოდ ვერ ვითარდებოდა მარტივი მიზეზის გამო - განვითარებისთვის საჭიროა სტაბილური, მშვიდობიანი გარემო და თავისუფალი არსებობა, რაც არ გაგვაჩნდა. ჩვენ ყოველთვის გვიწევდა ბრძოლა თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად (ეს იყო ტერიტორია, ენა, გენი, კულტურა, ა.შ.) და შესაბამისად რაიმე დამატებითი ინტელექტუალური თუ მოქალაქეობრივი დოვლათის შესაძენად არც დრო გვქონდა და არც საშუალება.

მეოცე საუკუნეში მოხდა მნიშვნელოვანი ტექნიკური, სამეცნიერო, და მსოფმხედველობითი "რევოლუცია". განვითარდა მედია რესურსები, ინტერნეტი, ადამიანი გაფრინდა კოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსში, რაც მთავარია ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთთან მარტივი მიმოსვლა, აზრთა გაცვლა, ინფორმაციის გამარტივებული ფორმით და ნებისმიერ საკითხზე მიღება. ამ ყველაფერმა საქართველოს გვერდი აუარა და მის მიღმა აღმოჩნდა ან რუსეთის, კერძოდ კი სუკ - ის მარწუხებში გადიოდა და სრულყოფილად არ ანვითარებდა ჩვენს სამოქალაქო საზოგადოებას.

ქვეყნის ხელახალი დამოუკიდებლობის ბოლო ორმა დეკადამ რადიკალური და მნიშვნელოვანი გარდატეხა ჯერ ვერ შემოიტანა ქართულ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში. საქართველოს მოქალაქეებს ჯერ ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა მოუწიათ, შემდგომ სოციალური და ეკონომიკური კატასტროფის გავლა და სხვა პოლიტიკური, კულტურული და ეთნიკური საკითხების მოგვარება. ამასობაში "გაფრინდა" საუკუნის ერთი მეხუთედიც... არც თუ ისე დიდი დრო ისტორიულ ჭრილში, მაგრამ საკმაოდ ხანგრძლივი ადამიანური, მატერიალური, პრაგმატული თვალსაზრისით, რამდენიმე თაობა გაქრა..

ფაქტობრივად 1802 წლის 9 აპრილიდან 1991 წლის 9 აპრილამდე (თითქმის 200 წელი) საქართველო აქტიურ რუსიფიკაციის წნეხში გადიოდა, ვერ ვითარდებოდნენ მისი რელიგიური, სამოქალაქო და სახელმწიფო ინსტიტუტები, მათი წარმომადგენლები. მოხდა ფასეულობების ცვლა: ქართველი ადამიანი გაზარმაცდა და დაკნინდა (მტკივნეული თემაა, მაგრამ სიმართლეა); მას ერჩივნა ერთი ყუთი ღვინითა თუ კარგი პურმარილით საქმე მარტივად მოსკოვში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მეტროპოლიის ცენრში) ჩაეწყო და რეალურად საქმე არ ეკეთებინა ადგილზე.

მოკლე შესავალს გავუკეთებ საქართველოში რელიგიური ინსტიტუტების განვითარებას. საქართველო მტრულად შეხვდა ახალ რელიგიას - ქრისტიანობას, მაგრამ საბოლოო არჩევანი გააკეთა დასავლეთ რომის იმპერიის ზეგავლენის და არსებული პოლიტიკური ვითარების გამო. ისევე როგორც ევროპის სხვა რეგიონებში, 325-337 წწ ქრისტიანობა საქართველოში ძალით ვრცელდებოდა. რელიგია და პოლიტიკა აქტიურად იყო გადახლართული, მიდიოდა სერიოზული რეგიონალური ბრძოლა, რისი ნათელი მაგალითია "შუშანიკის წამება". ვარსქენ პიტიახშმა მაზდეანობის მიღებით პოლიტიკური არჩევანი გააკეთა, რომელიც საქართველოს მეფის ღალატის ტოლფასი იყო. არც გორგასალი დარჩა „ვალში". იგივე მეფე გორგასალმა დასაჯა ურჩი პატრიარქიც და დაატოვებინა საქართველო, ვინაიდან პატრიარქი გასცდა რელიურ იურისდიქციას, აშკარად და აქტიურად ერეოდა სახელმწიფოებრივ საქმეებშიც. „აბო თბილელის" გმირული გაქრისტიანება და რწმენისათვის თავის შეწირვა იმ პერიოდის არამარტო რელიგიური, არამედ პოლიტიკური გზავნილიც იყო ჩვენი საზოგადოებისთვის, რომელიც არაბების მიერ საქართველოს ოკუპაციის პერიოდში, საკუთარი თავის გადასარჩენად, ისლამს იღებდა. მეფე დავით აღმაშენებელის მართველობის ხანაში ცნობილია მისი საეკლესიო რეფორმები, რომელიც დაა-გვირგვინა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ. ფაქტია, რომ მონარქს ქვეყანაში სტაბილურობისა და განვითარების რითმის აღსადგენად და შესანარჩუნებლად დასჭირდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ სერიოზული და მკაცრი რეფორმები რელიგიურ ინსტიტუციაში, ფაქტობრივად საერო-სასულიერო მართველობის შემოღება ეკლესიაში, ამასთანავე ამით არანაირად არ დააკნინა ეკლესიის როლი, მისი მოქალაქეების სულიერ და სახელმწიფოებრივ განვითარებაში. **გიორგი მეხუთეს** (ბრწყინვალეს) შეიძლება ჯვაროსანი მეფის სახელიც კი მივანიჭოდ, ვინაიდან სწორედ მის სახელთან (პატრიარქის ზეგავლენით და ჩარევით) მახვილითა და სისხლით საქართველოს მთიანეთის გაქრისტიანებაა დაკავშირებული. მთაში დღემდე მრავალი კერპთაყვანისმცემლური ელემენტი და სიმბოლო შემორჩა.

რელიგიური ინსტიტუტები ძლიერდებოდა მაშინ, როდესაც სახელმწიფოში კრიზისული სიტუაცია იყო და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები იმ მომენტში ვერ ახერხებდნენ შექმნილი საფრთხის დაძლევას და სიტუაციის კონტროლს. 1802 წლიდან დაიწყო ქართული ეკლესიის რეალური დევნა, ჯერ რუსიფიკაციის მცდელობა, შემდგომ ავტოკეფალიის პირდაპირი გაუქმება და სხვა მრავალი მავნებლობა განხორციელა ჩვენს სამშობლოში, რუსეთის ეკლესიის ხელით, რომელიც იმ დროინდელი ცარისტული რეჟიმის დამსჯელი აპარატის ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტი იყო. საბჭოთა რეჟიმმა სამღვდელოება ფაქტობრივად მთლიანად გაწყვიტა და შემდგომ კომკავშირლები გაამწესა ეკლესიებთან მრევლის ამოსაცნობად და დასასჯელად. 1991 წლიდან კი, ისევე როგორც მთლიანად ქართული სახელმწიფო, ერი და სამოქალაქო საზოგადოება, ასევე ქართული ეკლესია, როგორც რელიგიური ინსტიტუტი, ხელახლა ყალიბდება და განიცდის ტრანსფორმაციას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა კავშირშია რელიგია და მასონები?

მასონურ საძმოს, როგორც ერთობას, ორგანიზაციას, არც ერთ რელიგიასთან არანაირი კავშირი არ აქვს, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა ლოჟაში მყოფი ორდენის წევრი სხვადასხვა რელიგიის მიმდევარია. ან შეიძლება ინდივიდი, მასონი, არც იყოს კონკრეტული აღმსარებლობის მიმდევარი, უბრალოდ სწამდეს ღმერთის და იყოს მორწმუნე. ხშირად მეკითხებიან - "რომელი ღმერთის სწამთ მასონებს"? სკეპტიკოსები ამ შეკითხვით ცდილობენ გამომტყუონ რაიმე ისეთი, რაც მათ გონში დაადასტურებს ჩვენს "უღმერთობას", შავბნელ კაშირებს დემონებთან და ა.შ.

ვიმეორებ, თითოეული მასონი თავისუფალია თავის ცხოვრებისეულ არჩევანში და აქვს ის სარწმუნობა ანუ რწმენა, რომელიც მისი არჩეულია მასონურ ორდენში გაწევრიანებამდე, ეს შეიძლება იყოს ქრისტიანი, მუსულმანი, იუდეველი, ბუდისტი და სხვა. რწმენის საკითხი ინდივიდუალური ძმის (მასონის) სუბიექტური საქმეა. მთავარია მას სჯეროდეს ღმერთის, შემქმნელის, რომელიც ერთია და მხოლოდ ერთი. **მავანს სწორედ ეს უქმნის დიდ პრობლემას, სხვადასხვა რელიგიის, პოლიტიკური, სოციალური თუ ეთნიკური მსოფლმხედველობის და წარმომავლობის მამაკაცი, ადამიანი, რომელიც არის ერთი იდეით და ერთი სიყვარულით გაერთიანებული!**

საქართველოში საზოგადოების ნაწილი მცდარად ფიქრობს, რომ მასონობა არის ანტირელიგიური გაერთიანება ან თვითონ არის რელიგია, რომელიც ტრადიციულ რელიგიებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრძვის და ცდილობს გადაიბიროს მათი მრევლი (ხშირ შემთხვევაში, იგივე ხალხი თვლის, რომ დანარჩენი ყველა რელიგია მასონური ორდენისგან დიდად არ განსხვავდება და არის მწვალებლური, ა.შ.).

რელიგია, ლოჟის მიღმა აღმოჩნდა. მას პოლიტიკასთან ერთად ორდენის შიგნით არ განიხილავენ, რომ არ მოხდეს ძმებს შორის უსიამოვნება და დაპირისპირება. მასონური ორდენი არის მამაკაცთა ერთობა, რომელსაც თავისი განვითარების ფილოსოფია გააჩნია - ჰარმონიული და ჰუმანური.

საქართველო მონარქიული წყობიდან რესპუბლიკურზე ფაქტობრივად 1918 წელს გადავიდა, ამასთანავე პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია მხოლოდ 1921 მივიღეთ. ეს იმიტომ აღვნიშნე ასე ხაზგასმით და გამორჩეულად, რომ ფეოდალური საქართველოს ისტორია საკმაოდ საინტერესოა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების პრიზმაში, მაგრამ სწორედ მეოცე საუკუნის დასაწყისში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევოდა ამ ორ ინსტიტუტის შორის სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების კუთხით.

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებისათვის, ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი დებულება იყო სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფა (კონსტიტუციის 16-ე თავი). საკონსტიტუციო კომისიის მასალებში მოიპოვება დოკუმენტი სახელწოდებით "სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ", რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ამ საკითხში კონსტიტუციის ავტორთა ფასეულობითი პრიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტეტებისა და საკითხის გადაწყვეტის იდეურ-თეორიულ საფეძველზე. ამ დოკუმენტის ავტორი იყო **გ. ნანეიშვილი** და ის იწყება ისტორიული ექსკურსით და აღწერით იმ მჭიდრო ურთიერთობებისა, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებობდა საუკუნეების მანძილზე. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის სურვილი ერთმანეთთან აახლოვებდა სახელმწიფოსა და ეკლესიას, თუმცა უთანხმოება ძალაუფლების განაწილების თაობაზე განაპირობებდა მათ შორის აშკარა თუ ფარულ ბრძოლას.

დოკუმენტის ავტორთა აზრით "საზოგადოებრივ ურთიერთობის მოწესრიგებაში ეკლესიის მნიშვნელობა მეტად მცირეა" (სცსსა, ფ.1833, აღწ. 1, საქ. 192, გვერდი 58) და გარდა მონარქიული სახელმწიფოებისა, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კავშირმა "დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა" ამავე დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის წესრიგდება სინდისის თავისუფლების ნიადაგზე. აქვე აღნიშნავენ, რომ სინდისის თავისუფლების **აღიარება** გარდაუვალად აყენებს "ეკლესიის და სახელმწიფოს განშორებას".... ***"რადგან სანამ არსებობს კავშირი ერთ რომელიმე ეკლესიას და სახელმწიფოს შორის, დამოკიდებულების სახით, სინდისის თავისუფლების განხორციელება და უზრუნველყოფა შეუძლებელია."*** (იქვე გვ. 59).

დოკუმენტის ავტორთა აზრით (რომელიც სრულად იქნა გაზიარებული, როგორც კონსტიტუციის ავტორთა ასევე პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მიერ), სინდისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლება, რომლის შინაარსიც არის ის, რომ "ყოველ ინდივიდუმს შეუძლია იწამოს რაც სურს და ემსახუროს იმ კულტს, რომელსაც აირჩევს", ეხება მეტისმეტად ინტიმურ სფეროს და კანონმდებლობა არ უნდა შეიჭრას ამ სფეროში, რადგანაც "როგორც ადამიანის აზრთა წყობა და ოცნება უვარგისი ობიექტები არიან უფლებრივი სანქციისათვის, ისე რელიგიოზური შეხედულებანი სრულებით გამოუდეგარი არიან სახელმწიფოს რეგლამენტაციისათვის" (იქვე).

აქვე აღნიშნულია, რომ სინდისის თავისუფლება მოიცავს ეკლესიის თავისულებას, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას. ეკლესიის თავისუფლება კი ნიშნავს შემდეგს: 1. "ყველას უნდა შეეძლოს რელიგიოზური საზოგადოების დაარსება... 2. ამ რელიგიოზური კავშირების შინაგანი მხარეები უნდა შეადგენდეს მხოლოდ ეკლესიის საქმეებს და 3) ყველა სარწმუნოებრივი საზოგადოებანი უნდა იყვნენ თანასწორუფლებებით აღჭურვილი" (იქვე). კონსტიტუციის ავტორები თვლიდნენ, რომ ამ სამი ელემენტიდან რომელიმეს უარყოფა ნიშნავს ეკლესიის თავისუფლების შეზღუდვას.

სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფა ნიშნავს

1) სახელმწიფოს გათავისუფლებას ეკლესიის შესანახად გაწეული ყოველგვარი ხარჯებისაგან;

2) სამღვდელოების უფლებრივ გათანასწორებას სხვა მოქალაქეებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) რომელიმე რელიგიური კულტის აღმსარებლობას არ უნდა ჰქონდეს არავითარი მნიშვნელობა სამოქალაქო მდგომარეობაზე

ისე ხელნაწერში (როდესაც ავტორს გაუანალიზებია რამდენიმე სხვა სახელმწიფოს გამოცდილება ამ საკითხში) მიუწერია და მერე გადაუშლია... **"როგორც შესძლეს სხვებმა, ისევე შეგვიძლია ჩვენც შევწყვიტოთ უმთავრესი ძაფები ამ კავშირისა".**

საუბარი იყო ქონებრივ შეზღუდვებზე, რაც მნიშვნელოვან ასპექტად მიაჩნდათ დეპუტატებსა და ავტორებს.

დავებმა თავი მაინც იჩინა პროექტის დამტკიცებისას... ძირითადად ეკლესიის სუბსიდირებაზე იყო საუბარი და "ტექსტის შერბილებაზე", ვინაიდან საქართველოში იყო არა სტაბილური რელიგიური თუ პოლიტიკური გარემო.

პროექტი იქნა უცვლელად მიღებული, მასში 1920 წლის 11 მაისს, მხოლოდ გარკვეული ტექნიკური შესწორებანი შევიდა. საბოლოოდ, საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მე-16 თავს დამფუძნებელ კრებაზე კონსტიტუციის მიღების დროს, დიდი კამათი არ გამოუწვევია, იყო უმნიშვნელო შენიშვნები, მაგრამ აღნიშნული მოსაზრებები არ გათვალისწინებულა.

აღსანიშნავია, რომ 1920 წლის 31 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დამფუძნებელ კრებას გაუგზავნა საეკლესიო კრების დადგენილება, რომელშიც სხვა ბევრ საინტერესო ისტორიულ ფაქტთან ერთად იყო აღნიშნული კრების პოზიცია. კრების აზრით სახელმწიფოსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეკლესიის **"ურთიერთისგან განშორება"** არავითარი საფრთხის შემცველი არ იქნებოდა. კრება თვლიდა, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესძლებდნენ "მშობელი ერის სამსახურს". ამასთანავე, კრება ითხოვდა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას რეფერენდუმით, რაც მთავრობის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული...

ვფიქრობ, საინტერესო ფრაგმენტია საქართველოს უახლესი ისტორიიდან. საპარლამენტო-საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ვინაობა: თავმჯდომარე - რ. არსენიძე; პ. საყვარელიძე; გ. რუსია; ი. ბარათაშვილი; ლ. ნათაძე; გ. გვაზავა; კ. ჯაფარიძე; ი. გობეჩია; და "გარედან მოწვეული მცოდნე პირი - გ. ნანეიშვილი.

სამყაროს დიადი არქიტექტორი

ჩემთვის ღმერთი არის ერთი და ის ყველაფერია, უპირველეს ყოვლისა კი სიყვარულია. ყველაფერს რასაც ვხედავთ, ვეხებით და შევიგრძნობთ შემოქმედის ნებით შეიქმნა, ყველაფერში მისი ნაწილაკია. მისგან უდიდესი და უშრეტი ენერგია და სიყვარული მოდის.

ანსელმ კენტერბერიელი, განიხილავდა რა, ღმერთის არსებობის დასაბუთების შესაძლებლობებს, ამბობდა, რომ ღმერთის არსებობის დასაბუთება შეუძლებელია, ვინაიდან თუ დავასაბუთეთ მის მატერიალურ არსებობას, მაშინ ის ღმერთი აღარ იქნება, მისი არსებობა რწმენის საკითხია.

ღმერთი არის ერთი, სამყაროს შემომქმედი, დიადი არქიტექტორი. მის შემოქმედებაში ვეძებთ გეომეტრიულ ახსნას, ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივს, რაციონალურს, სეკულარულს, მაგრამ გვავიწყდება, რომ მარტივი ახსნა არ არის, და ვერც იარსებებს. ჩვენი გონი ვერასოდეს მიხვდება იმ ლოგიკას რაც დევს მთლიან შემოქმედებით პროცესში.

ჩემთვის ღმერთი და რელიგია არ არის ერთი. ღმერთის რწენა არის მტკიცე, შეურყეველი და სათნო. ისეთი სპეტაკი, რომ ამ სიყვარულზე მხოლოდ ღმერთთან შეგიძლია ისაუბრო. შეკითხვაზე - შენი ღმერთ ვინ არისო, მეღიმება. ქრისტინი ვარ და ეს იმას ნიშნავს, რომ წმინდა სამების მწამს, ღმერთი ერთია, ერთი არხეა ყველასთვის.

უკვდავი სული ღმერთის ბოძებულია. ღმერთმა მოგვცა არჩევანის უფლება - ჩვენს საქციელზე, ქმედებაზე ჩვენვე ვართ პასუხისმგებელნი. უფალი, ყველას მიუტევებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ თავად უნდა მივუტევოთ ჩვენს გარშემომყოფთ და საკუთარ თავს.

ვიღაცამ მითხრა, ადამიანმა გამოიგონა ღმერთიო... არა, ადამიანმა გამოიგონა რელიგია, რელიგიური ინსტიტუციები და რიგი წესებისა, მორალი და ეთიკა დახვეწა, მაგრამ ღმერთი არის ადამიანის გონზე მაღლა.

ეპილოგი

გარკვეული მოსაზრებაა საზოგადოებაში, რომ მასონური ლოჟის გახსნა და საერთოდ ინფორმაცია მასონებზე საქართველოში იყოს დაფარული ბურუსით, რათა საზოგადოებაში არ გამოიწვიოს ზედმეტი გაღიზიანება. მეორე ნაწილის მოსაზრებაა, და არ დაგიმალავთ, მეც ამ მოსაზრებას ვიზიარებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გარკვეულწილად მოხდეს ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის.

ჩვენ არ ვართ საიდუმლო ორგანიზაცია (ვინც არ უნდა ამტკიცებდეს საწინააღმდეგოს) და არც კონსპირაცია გვჭირდება და, მითუმეტეს, არ ვმონაწილეობთ აბსურდულ "შეთქმულების თეორიაში". ჩვენ ვართ მამაკაცთა ერთობა, რომელიც არ არის საიდუმლო, არამედ ვართ კაშირი, რომელსაც აქვს "შიდა სამზარეულო" ანუ შიდა საიდუმლოებანი. შესაბამისად ქართული საზოგადოება, რომელიც ისედაც თითქმის ერთი საუკუნე იყო ინფორმაციულ ვაკუუმში და გააჩნია უამრავი მართებული შეკითხვა და მოსაზრება, არის იმის ღირსი, რომ ჩვენგან მიწოდებული იქნას მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია, წიგნების, გამოცემების, ინტერნეტის და სხვა წყაროების გამოყენებით. ამიტომ, პირადად მე, არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ლოჟა და ჩვენი საქმიანობა უნდა იყოს ფარული, თუნდაც ამ ეტაპზე, ჩვენთვის არამეგობრულ გარემოში. ისევ ვიმეორებ, ამის აუცილებლობა და სურვილი არ არსებობს და არც ობიექტური რეალობა განაპირობებს ამას.

მოცარტს უთქვამს "იფიქრე იმაზე, თუ რას აძლევ შენ ლოჟას და არა იმაზე თუ რას გაძლევს ლოჟა შენ". არ გეცნობათ?!

რა თქმა უნდა, რა ხდება ლოჟის შეხვედრაზე ცნობილია და ცნობილი იქნება მხოლოდ ორდენის წევრებისთვის.

შეიძლება თქვენ ბევრი (ან პირიქით ცოტა) გსმენიათ, წაგიკითხავთ, ან ჭორის დონეზე გაგიგიათ მასონების შესახებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა გთხოვთ დაივიწყოთ ეს ყველაფერი და მე მომის-მინოთ.

თავისუფალი კალატოზობა ანუ მასონობა არ არის არც რელიგია, არც პარტია, არც სექტა და არც შეთქმულთა საიდუმლო ერთობა. მასონობა თავისუფალ მამაკაცთა ერთობაა, მათი ვისაც ღირსება და პატივი გააჩნია.

რა მიზანია აქვთ მასონებს? გაგიკვირდებათ ჩემი პასუხი – მასონობა თავის მიზნად ისახავს ზრდასრულ მამაკაცთა აღზრდას - ჰუმანურობის, მოთმენის, ადამიანის სიყვარულისა და მოწიწების პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთანავე, ჩვენ არ გაგვაჩნია რაიმე "ინსტრუქციები", დოგმები და პროგრამები ამისათვის.

რა მომცა ლოჟამ და ზოგადად მასონობამ?

მე ვისწავლე მოსმენა...

მე ვისწავლე მოსმენა იმ აზრებისა, რომელიც არ ემთხვევა ჩემს შეხედულებებს...

მე ვცდილობ გადავჭრა ყველა პრობლემა, რომელიც ოჯახში ან სამსახურში წარმოიქმნება ჰუმანური, უკონფლიქტო მეთოდებით. მე ძალადობის წინააღმდეგი ვარ.

მყავს მეგობრები, ძმები, რომელთაგან ბევრს ვსწავლობ. ჩვენს წრეში არ დაობენ, არამედ არგუმენტირებულად ამტკიცებენ საკუთარ მოსაზრებას.

მასონობა ჩემთვის ეს არის თავისუფლების სივრცე, ადამიანური ურთიერთობები. "მასონობა რომ არ არსებობდეს, ალბათ საჭირო იქნებოდა მისი მოგონება", ბრძანა **ლესიგმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასონები ყოველთვის ვცდილობთ დიქტატურის ზეგავლენას ავარიდოთ თავი, იქნება ეს პოლიტიკური, თუ რელიგიური.

პირველ რიგში მასონი საკუთარი ერის და სახლემწიფოს პატრიოტია, ამას ისტორიაც ადასტურებს! **ჯუზეპე გარიბალდი, სიმონ ბოლივარი, უინსტონ ჩერჩილი, ჯორჯ ვაშინგტონი, მიხეილ კუტუზოვი**, ა.შ. ეს მასონების ის მოკლე ჩამონათვალია, რომელიც გამოირჩეოდნენ თავისი ძმური აქტივობითაც და საკუთარი სამშობლოს უაღრესი სიყვარულით და პატრიოტიზმით.

ამ წიგნის ბოლოს, დიდი (წმ.) **ილია ჭავჭავაძის** სიტყვებს მოვიშველიებ - "რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თვისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულისშვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა."

მასონობა ყველაზე ძველი, საიდმლოებით მოცული და პროგრესული, ხვალინდელი დღის სინათლისა და ცოდნის საზოგადოებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1 მასონური პარტნიორი ორგანიზაციები

წარმოდგენილი პან-მასონურ ორგანიზაციების ნუსხას, ორიგნალური სახელწოდებებით, ლათინური ანბანის მიხედვით.

- **Acacia** - აკაცია;
- **American Lodge of Research** - ამერიკული კვლევითი ლოჟა, (მასონური ორდენის ისტორიკოსები);
- **Ancient Arabic Order of Nobles of the Mystic Shrine (The Shriners)** - უძველესი არაბული ორდენი - მისტიური საკურთხეველი;
- **Ancient Egyptian Order of Princesses of Sharemkhu** - შრაინის ქალბატონების გაშტოება;
- **Ancient Egyptian Order of Sciots;**
- **Ancient Toltec Rite;**
- **Daughters of Mokanna;**
- **Daughters of the Nile** - მხოლოდ ქალბატონები, მასონური ოჯახებიდან;
- **George Washington Masonic National Memorial Association;**
- **Grand College of Rites of the U.S.A.;**
- **Grand Council of Allied Masonic Degrees of the U.S.A.;**
- **High Twelve International;**
- **Holy Order of Knights Beneficent of the Holy City;**
- **Holy Royal Arch Knight Templar Priests;**
- **Ladies Oriental Shrine of North America** - ქალბატონების ორგანიზაცია;
- **Legion of Honor** - ყოფილი მასონი სამხედ-როები და ვეტერანები,1931 წლიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- **Low Twelve Club** - სურვილის შემთხვევაში მასონის დაკგრძალვის ორგანიზებას და ხარჯებს იღებს საკუთარ თავზე;
- **Masonic Clubs** - აი, ერთი ასეთი საქართველოშიც არის;
- **Masonic Relief Association of the U.S.A.** -- ფილანტროპი მასონები;
- **Mutual Guild**
- **Order of DeMolay for Boys** - **დე მოლეს** სახელობის ორდენი ყმაწვილებისათვის. მასში ძირითადად გაწევრიანებული არიან ოსტატი მასონების ვაჟები;
- **Order of Job's Daughters** - ოსტატი მასონების ქალიშვილების ორდენია;
- **Order of the Amarath** - ქალბატონების ორგანიზაცია;
- **Order of the Eastern Star** – „აღმოსავლეთის ვარსკვლავის ორდენი", ერთ ერთი ყველაზე დიდი მასონური ოჯახის წევრი ორგანიზაცია. ლაფაიეტისა და ვაშინგტონის მიერ დაარსებული და განვითარებული;
- **Order of the Rainbow for Girls** - "ცისარტყელა", 12-18 წლის გოგონებისათვის, მასონური ორგანიზაციების წევრთა ქალიშვილები;
- **Philalethes Society;**
- **Red Cross of Constantine-United Imperial Council;**
- **Royal Order of Jesters;**
- **Royal Order of Scotland** - მხოლოდ ქრისტიანი შოტლანდიელები და იორკის რაინდები;
- **Societas Rosicruciana in Civitatibus Foederatis**
- **Tall Cedars of Lebanon**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 2 მსოფლიოში არსებული დიდი ლოჟები, რომლებიც ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟის მიერ არიან აღიარებულნი

ევროპა

- ანდორას დიდი ლოჟა
- სომხეთის დიდი ლოჟა
- ავსტრიის დიდი ლოჟა
- ბელგიის რეგულარული დიდი ლოჟა
- ბოსნია-ჰერცოგოვინას დიდი ლოჟა
- ბულგარეთის გაერთიანებული დიდი ლოჟა
- ხორვატიის დიდი ლოჟა
- ჩეხეთის რესპუბლიკის დიდი ლოჟა
- დანიის დიდი ლოჟა
- ესტონეთის დიდი ლოჟა
- ფინეთის დიდი ლოჟა
- გერმანიის გაერთიანებული დიდი ლოჟა
- საბერძნეთის დიდი ლოჟა
- უნგრეთის სიმბოლური დიდი ლოჟა
- ისლანდიის ეროვნული დიდი ლოჟა
- იტალიის დიდი ლოჟა (ორიენტი)
- ლატვიის დიდი ლოჟა
- ლიტვის დიდი ლოჟა
- ლუქსემბურგის დიდი ლოჟა
- მაკედონიის დიდი ლოჟა
- მალტის სუვერენული დიდი ლოჟა
- მონტენეგროს დიდი ლოჟა
- ნიდერლანდების დიდი აღმოსავლეთი
- ნორვეგიის მასონთა ორდენი
- პოლონეთის ეროვნული დიდი ლოჟა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- პორტუგალიის ნამდვილი დიდი ლოჟა
- რუმინეთის ეროვნული დიდი ლოჟა
- რუსეთის დიდი ლოჟა
- სერბეთის რეგულარული დიდი ლოჟა
- სლოვენიის დიდი ლოჟა
- ესპანეთის დიდი ლოჟა
- შვედეთის დიდი ლოჟა
- შვეიცარიის დიდი ლოჟა ალპინა
- ირლანდიის დიდი ლოჟა
- თურქეთის დიდი ლოჟა
- შოტლანდიის დიდი ლოჟა

აზია

- ჩინეთის დიდი ლოჟა
- ინდოეთის დიდი ლოჟა
- ისრაელის დიდი ლოჟა
- იაპონიის დიდი ლოჟა
- ფილიპინების დიდი ლოჟა

ავსტრალია და ოკეანეთი

- ახალი ზელანდიის დიდი ლოჟა
- ახალი სამხრეთ უელსის და ავსტრალიის ტერიტორიის დიდი ლოჟა
- ქუინსლენდის გაერთიანებული დიდი ლოჟა
- სამხრეთ ავსტრალიის და ჩრდილოეთ ტერიტორიების დიდი ლოჟა
- ტასმანიის დიდი ლოჟა
- ვიქტორიის დიდი ლოჟა
- დასავლეთ ავსტრალიის დიდი ლოჟა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფრიკა

- ბენინის დიდი ლოჟა
- ბურკინა ფასოს დიდი ლოჟა
- კონგოს დიდი ლოჟა
- გაბონის დიდი ლოჟა
- განას დიდი ლოჟა
- გვინეას ეროვნული დიდი ლოჟა
- სპილოს ძვლის სანაპიროს დიდი ლოჟა
- ლიბერიის რესპუბლიკის დიდი ლოჟა
- მადაგასკარის ეროვნული დიდი ლოჟა
- მალის ეროვნული დიდი ლოჟა
- მავრიტანიის დიდი ლოჟა
- მოროკოს სამეფოს რეგულარული დიდი ლოჟა
- სინეგალის დიდი ლოჟა
- სამხრეთ აფრიკის დიდი ლოჟა
- ტოგოს ეროვნული დიდი ლოჟა

კანადა

- ალბერტას დიდი ლოჟა
- ბრტინაული კოლუმბიის და იუკონის დიდი ლოჟა
- ონტარიოს პროვინციის კანადის დიდი ლოჟა
- მანიტობას დიდი ლოჟა
- ახალი ბრუნსვიკის დიდი ლოჟა
- ნიუფაუნდლენდის და ლაბრადორის დიდი ლოჟა
- ნოვა სკოტიის დიდი ლოჟა
- პრინც ჰოლის დიდი ლოჟა ონტარიოში
- პრინც ედუარდის კუნძულის დიდი ლოჟა
- კვებეკის დიდი ლოჟა
- სასკაჩევანის დიდი ლოჟა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აშშ

- აშშ-ში ყველა შტატს გააჩნია საკუთარი დიდი ლოჟა, ამასთანავე ზოგ შტატში არის **პრინც ჰოლის** დიდი ლოჟებიც.

სამხრეთ და ცენტრალური ამერიკა

- ბოლივიის დიდი ლოჟა
- ბრაზილიის დიდი აღმოსავლეთი (ორიენტი)
  ბრაზილიის რიგ შტატს საკუთარი დიდი ლოჟა გააჩნია, მაგ. რიო დე ჟანეიროს, სან პაულო, ა.შ.
- ჩილეს დიდი ლოჟა
- კოლუმბიის დიდი ლოჟები (ბოგოტა, კალი, კართაგენა, ბარანკუილა)
- ეკუადოროს დიდი ლოჟა
- პარაგვაის სიმბოლური დიდი ლოჟა
- პერუს დიდი ლოჟა
- ურუგვაის დიდი ლოჟა
- ვენესუელის რესპუბლიკის დიდი ლოჟა
- კოსტა რიკის დიდი ლოჟა
- სალვადორის დიდი ლოჟა
- გუატემალას დიდი ლოჟა
- მექსიკის იორკის დიდი ლოჟა
- პანამას დიდი ლოჟა

კარიბის ზღვის კუნძულები

- ბაჰამას პრინც ჰოლის დიდი ლოჟა
- კუბის დიდი ლოჟა
- ჰაიტის დიდი აღმოსავლეთი (ორიენტი)
- პუერტო რიკოს და დომინიკანის დიდი ლოჟა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 3. ლოჟების გახსნისა და განვითარების ქრონოლოგია

წარმოგიდგენთ 18-ე საუკუნიდან მოყოლებული განახლებული **ძველი, თავისუფალი და აღიარებული მასონური** ორდენის განვითარების ისტორიულ ქრონოლოგიას, ყველაზე მნიშვნელოვან თარიღებს:

1717 - ლონდონში 4 ლოჟა აარსებს პირველ დიდ ლოჟას;

1724 - დაარსდა ირლანდიის დიდი ლოჟა;

1725 - ინგლისელები აფუძნებენ პირველ ლოჟას საფრანგეთში;

1728- პირველი ლოჟა ევროპის კონტინენტზე, მადრიდში, ესპანეთი;

1730 - პირველი ლოჟა აშშ-ის ტერიტორიაზე;

1731- რუსეთში პირველი ლოჟის გახსნა,

1733 - პირველი ლოჟა ფლორენციაში;

1735 - პირველი ლოჟა პრაღაში;

1736 - დაარსდა შოტლანდიის დიდი ლოჟა;

1737 - პირველი ლოჟა ჰამბურგში, გერმნაია;

1742 - პირველი ლოჟა ვენაში;

1748 - აიკრძალა მასონობა თურქეთში;

1755 - საფნრანგეთის დიდი ლოჟის დაარსება;

1756 - დაარსდა ნიდერლანდების დიდი ნაციონალური ლოჟა;

1759 –ლოჟის დაარსება ხორვატიაში;

1775 - საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთ დაარსდა;

1775 - უნგრეთში მასონური საზოგადოების დაარსება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1777 -ავსტრიის პროვინციული დიდი ლოჟის დაფუძნება

1813-15 - ინგლისის გაერთიანებული დიდი ლოჟის ფორმირება;

1824 -პირველი დიდი ლოჟის დაარსება ცენტრალურ ამერიკაში - კუნძულ ჰაიტზე;

1844 - შვეიცარიის დიდი ლოჟის „ალპინას" დაარსება;

1858- დაარსდა დანიის დიდი ნაციონალური ლოჟა;

1859 - პორტუგალიის დიდი აღმოსავლეთი დაარსდა

1861- იტალიის დიდი აღოსავლეთ დაარსდა;

1868 - დაარსდა საბერძნეთის და ესპანეთის დიდი აღმოსავლეთი;

1877- საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთმა დაკარგა რეგულარული მასონური ორდენის სტატუსი;

1884 - დაარსდა ავსტრალიის დიდი ლოჟა;

1891 - ნორვეგიის ნაციონალური დიდი ლოჟის დაარსება;

1903 - შვეიცარიაში მასონური საერთაშორისო ცენტრის გახსნა;

1913 - საფრანგეთში რეგულარული ნაციონალური დიდი ლოჟის დაარსება;

1921 - პოლონეთის დიდი ლოჟის დაარსება;

1923 - რუმინეთის დიდი ლოჟის და ჩეხეთ-სლოვაკეთის დიდი ლოჟის დაარსება;

1949 - გერმანიის გაერთიანებული დიდი ლოჟის დაარსება;

1995 - რუსეთის დიდი ლოჟის დაარსება

2002 და 2006 - სომხეთის და აზერბაიჯანის დიდი ლოჟების დაარსება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 4. გამოჩენილი მასონები

ყველა გამოჩენილ მასონს ამ მოკრძალებულ გამოცემაში, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოგითვლით, მათ რიგებშია მსოფლიოს ყველაზე ცნობილი და პროგრესული ადამიანები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მხატვრები, მედიკოსები, გამომგონებლები, მოგზაურები, მუსიკოსები, ბიზნესმენები, სამხედროები და სასულიერო პირები. აქ მხოლოდ მათი მცირე ნაწილია წარმოდგენილი.

<u>პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები</u>

- სიმონ ბოლივარი
- ჯავარჰარლარ ნერუ
- უინსტონ ჩერჩილი
- ჯუზეპე გარიბალდი
- ჯორჯ ვაშინგტონი
- ქემალ მუსტაფა ათათურქი
- ბენჯამინ ფრანკლინი
- თეოდორ რუზველტი
- ფრანკლინ რუზველტი
- იორდანიის მეფე ჰუსეინი
- ავღანეთის მეფე ჰაბულა
- ადმირალი ჰორაციო ნელსონი
- ჯუზეპე მაძინი
- ოლივერ კრომველი
- ედგარ ჰუვერი
- მიხაილ კუტუზოვი
- პეტრე ბაგრატიონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვნების წარმომადგენლები

- ფრიდრიხ შილერი
- ჯორჯ ბაირონი
- რობერტ ბერნსი
- მარკ შაგალი
- სტენდალი
- იოჰან ფიხტე
- არტურ კონან დოილი
- მარკ ტვენი
- იაჰან გოეთე
- ფრანც ჰაიდნი
- რედიარდ კიპლინგი
- ვოლფგან ამადეუს მოცარტი
- ფრანც ლისტი
- ალექსანდრე პუშკინი
- ვალტერ სკოტი
- იოჰან სებასტიან ბაჰი
- ჯონათან სვივტი
- ფანსუა ვოლტერი
- ჯონ ვეინი
- ლევ ტოლსტოი
- ოსკარ ვაილდი
- ლუის ამსტრონგი
- პოლ ვაიტმანი
- უილიამ შექსპირი
- ჩარლი ჩაპლინი
- ალექსანდრე პოუპი
- ფრანც შუბერტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- გოტჰოლდ ლესინგი
- ჰერმან ჰესე
- ვიქტორ ჰიუგო
- მიხეილ ბარათაშვილი
- ჰონორ მირამბო
- ივან ტურგენევი
- ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

<u>მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები</u>

- ვალტერ კრაისლერი
- ჩარლზ ჰილტონი
- თომას ლიპტონი
- ნათან როტშილდი
- დუგლას მაკარტური
- ლუის მაიერი
- ანდრე სიტროენი
- სტივ ვოზნიაკი
- სამუელ კოლტი
- ჰენრი ფორდი
- კინგ ჯილეტი

<u>შემოქმედებითი ადამიანები, მოგზაურები</u>

- გუსტავ ეიფელი
- ჯეიმს კუკი
- ჰენრიხ შლიმანი
- ალექსანდრე ჰუმბოლტი
- ჯოვანი კაზანოვა
- ჰარი გუდინი
- ვოლტ დისნეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხავი ლიტერატურა

1. Уилмхерст У.Л. Масонское посвящение. М.: Изд-во духовной литературы, 2001.
2. Холл Мэнли П. Феникс или возрожденный оккультизм. М.: Сфера, 2003.
3. Харитонович Д. Масонство. М.: Весь мир, 2001.
4. Элиаде М. Тайные общества. Обряды инициации и посвящения. М.-СПб.: Университетская книга, 1999.
5. Я.Шехтер. Вокруг себя был никто. Ростов-на-Дону. Феникс, 2004.
6. Бейли Ф.Дух масонства. М. "Литан", 1999. 176 с.
7. Шустер Г. История тайных союзов. В 2-х т. М., 1996.
8. Письма Н.И.Новикова. СПб., 1994.
9. Аржанухин С.В. Философские взгляды русского масонства. Екатеринбург, 1995.
10. Масонство и масоны. Вып. 2. М., 1997.
11. Бейли Г. Потерянный язык символов. М., 1996.
12. Жерар де Нерваль. История о царице Утра и о Сулеймане, повелителе духов. М.: Энигма, 1996.
13. Пуассон А., Морозов Н., Элиаде М., Юнг Г. Великое Делание. Киев: Новый Акрополь, 1995.
14. Фулканелли. Тайны готических соборов. М., 1996.
15. Генон Р. Символы священной науки. М.: Беловодье, 1997.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. Холл М.П. Энциклопедическое изложение масонской, герметической, каббалистичес-кой и розенкрейцеровской философии. Новосибирск: Наука, 1997.
17. Серков А.И. История русского масонства 1845-1945. СПб.: Изд. имени Н.И. Новикова,
18. Серков А.И. История русского масонства после Второй мировой войны. СПб.: Изд. имени Н.И. Новикова, 1997.
19. Юнг К.Г. Человек и его символы. М.: Серебряные нити, 1997.
20. Юнг К.Г. Психология и алхимия. М.: Refl-book; Киев: Ваклер, 1997. .
21. Пыпин А.Н. Масонство в России. XVIII – первая четверть XIX века. М.; Век, 1997.
22. Лопухин И.В. Масонские труды: Духовные труды. Некоторые черты о внутренней Церкви. М.: Алтейа, 1997.
23. Элиаде М. Мифы. Сновидения. Мистерии. М.: Refl-book; Киев: Ваклер, 1996.
24. Соловьев О.Ф.Масонство в мировой политике XX века. М., РоссПЭН, 1998.
25. A Glossary to Morals and Dogma, by Dr. Rex R. Hutchns, 33˚(Supreme Council 33˚, Ancient and Accepted Scottish Rite of Freemasonry of the Southern Jurisdiction)
26. **Michael Talbot**. The Holographic Universe; (Harper Collins)
27. **Mark Stavish**. Freemasonry (Llewellyn Publications)
28. **Bernard Haisch**. The God theory: Universers, Zero-Point Fields and What's Behind it All.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. **Fred Alan Wolf, Phd**. The Spiritual Universe: One Physicist's Vision of Spirit Soul, Matter, and Self.

30. **Arturo DeHoyos**. The Book of the Words: Sephir H'Debarim. (The Scotish Rite Research Society)

31. **Iain McCalman**. The Last Alchemist: count Caliostro, Master of Magic in the Age of Reason (HarperCollins)

32. **Christopher McIntosh**. The Rose Cross and the Age of Reason: Eighteenth-Century Rosicruci-anism in Central Europe and Its Relationship to the Enlightenment (E.J.Brill)

33. **Colin Wilson, Cristopher McIntosh**. The Roscrucians: The History, Mythology and Rituals of an Esoteric Order (Weiser)

34. **Frater Wittemans**. A New and Authentic History of the Rosicrucians (Rider and Co.)

35. **Manly P. Hall**. The Most Holy Trinosophia of the Comte de St. Germain. (Philosophical Research Society)

36. **John Robinson**. Born in Blood: The Lost Secrets of Freemasonry (M.Evans and Co.)

37. **Tim Wallace-Murphy and Marilyn Hopkins.** Templars in America: From the Crusades to the New World. (Barnes&Noble Books)

38. **James Wasserman.** Illustrated History of the Knights Templar. (Inner Traditions)

39. **Edward Burman.** The Templars: Knights of God: The Rise and Fall of the Knights Templars (Destiny Books)

40. **Peter Partner.** The Knights Templar and Their Myth (Destiny Books)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

41. **C. B. Leadbeater.** Freemasonry and its Ancient Mystic Rites (Gramercy Books)
42. **Andre Vandenbroeck.** Al-Kemi: A Memoir; Hermetic, Occult, Political and Private Aspects of R.A. Schwaller de Lubisz
43. **Joscelyn Godwin.** The Theosophical Enlightenment (State University of New York)
44. **Manly Hall.** Masonic Orders of Fraternity (Philosophical Research Society)
45. **Antoine Faivre.** Access to Western Esotericism
46. **Baron Rudolph von Sebottendorf, translated by Stephen Flowers.** The Practice of the Ancient Turkish Freemasons: The Key to Understanding Alchemy. (Runa-Raven Press)
47. **Walter Lanyon.** The Temple Not Made with Hands. (John M. Watkins)
48. **Joseph Fort Newton, litt.** The Men's House: Masonic Papers and Addresses.
49. **Adam McLean.** A Compendium on the Rosicrucian Vault. (Hermetic Research Series)
50. **Jeremy Naydler.** Temple of the Cosmos: The Ancient Egyptian Experience of the Sacred. (Inner Traditions)
51. **Romber Lomas.** Turning the Hiram Key: Rituals of Freemasonry Revealed. (Fair Winds Press)
52. **R.A.Schwaller de Lubicz.** The Temple of Man (Inner Tradition)

K65.254
2

სოლომონ ასურელი

მასწავლური საიდუმლოს ფესვები

სინათლის ძიებაში

2012